ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 2011 №46 (5427) ფასი: 30 თეთრი

## ტელეკომპანია „იმედს“ ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

გვ.3

# ნაციონალებში განხეთქილება მზადდება

გვ.2



გვ.3

## ოპოზიციის ნაწილი შეურაცხადია!



გვ.4

## გაზაფხულზე აქციებს აუცილებლად დავიწყებთ!

## ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები არ უნდა ილუპებოდნენ



გვ.7

## საქართველომ ისრაელისადმი ინტერესი დაკარგა

გვ.6



## ვინ და რატომ ავრცელებს ჭორებს საპატრიარქოზე





გვ.7

## რა უთხრა ოპოზიციამ ჟან ლეი ლორანს?

## სოზარ სუბარი: ჩვენ აუცილებლად დავძლევთ უიმედობას

გვ.2



გვ.7

## აფხაზები ციხიდან განთავისუფლებული დათო შენგელიას „გადაცემას“ მოითხოვენ

## სასამართლო ცოტნე გამსახურდიას საქმეზე გადაწყვეტილებას 28 თებერვალს მიიღებს



გვ.4

## 3090

## sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

9 სკანდალი გორის თეატრში
რატომ აგინა მსახიობმა მმართველს და მის მოადგილეს?

6 საქართველოში საგზაო მოძრაობის წესები მკაცრდება

5 ლიბიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საფრთხე არ ემუქრებათ

9 „რეალი“ კვლავ უსიამოვნო ტრადიციის ზღვარზეა

# ნაციონალებში განხეთქილება მზადდება

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან



***— ბატონო მამუკა, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხშირად ისმის შეფასებები, რომ ის პროცესები, რაც მსოფლიოში ხდება, ჩვენთან არ მოხდება, ეს 2003 წელს უკვე გავიარეთ რევოლუცია და პროცესები გვერდს აგვივლისო. რამდენად უნდა იყოს ხელისუფლება დაიმედებული? როგორია, თქვენი, როგორც ექსპერტის, შეფასებები?***

— მიუხედავად ხელისუფლების მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯისა, თუნდაც ვაუჩერების დარიგებას ვგულისხმობ, სიტუაცია არის ძალიან მძიმე და თანდათან უფრო და უფრო მძიმდება. სოციალური სურათი ყოველდღიურად იძაბება. აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ გაზაფხულისთვის მდგომარეობა გამწვავდეს. სხვათა შორის, მე ვვარაუდობ და არ არის გამორიცხული, რომ სახალხო პროტესტის მოთავე არ იყოს ოპოზიცია და სტიქიური გამოსვლები მოხდეს. ამას ვვარაუდობ იმიტომ, რომ ჯერ ერთი, კლიმატური პირობები არ უწყობს ამას ხელს და გარდა მაგისა, გაზაფხულისთვის უფრო იკვეთება ხოლმე სურათი იმისა, თუ რა რთულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილები ადამიანები, იმიტომ, რომ გარკვეული ინერციული პროცესები გრძელდება და გარდა ამისა, მთავრობა ცდილობს, რომ გარკვეული ნაბიჯები გადადგას იმისთვის, რომ საზოგადოება დაარწმუნოს თავის მზრუნველობაში.

***— რამდენად უშველის ამ გაჭირვებულ ხალხს ეს 20 და 30-ლარიანი ვაუჩერი?***

— რასაკვირველია, ეს არის თითებით ზვავის შეჩერების მცდელობა. საქმე ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას ეს არ უშველის და არავითარი შეღავათი ეს არ არის, ამის მიუხედავად, გარკვეული მზრუნველობის ეფექტი იქმნება და მოსახლეობის ნაწილი ამ მზრუნველობას მაინც იღებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს მუშაობს. თუმცა, ამის მიუხედავად საპროტესტო ტალღა აუცილებლად იქნება. ეს ინერცია შემცირდება, მზრუნველობის ეფექტი გაქრება და მოსახლეობა აღმოჩნდება მწარე რეალობის წინაშე და აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამან გამოიწვიოს სტიქიური საპროტესტო ტალღა.

***— ოპოზიციის ლიდერებისგან უკვე გახშირდა ასეთი შეფასებები, რომ რევოლუციის გარეშე სააკაშვილს ვერ მოვიშორებთო, თქვენი აზრით, მხოლოდ ამაშია გამოსავალი?***

— არა, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ რევოლუციაა გამოსავალი. აქ ცოტა პირფერობასთანაც გვაქვს საქმე, გააჩნია, რა იგულისხმება რევოლუციაში. უფროსი თაობის ადამიანები რევოლუციის უკან „სახალხო, შეიარაღებულ აჯანყებას“ ვხედავთ. ჩვენ ასე ვიცოდით ამ ტერმინის დეფინიცია. შემდგომში ვარდების რევოლუციამ ცოტა კორექტივები შეიტანა ამ ტერმინში, მაგრამ ყველა შემთხვევაში, რევოლუცია არის ხელისუფლების შეცვლაზე ორიენტირებული ძალისმიერი მეთოდი. ეს ძალისმიერი მეთოდი მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ თოფი გავარდეს, შეიძლება ძალისმიერი მეთოდი იყოს პარლამენტის შენობაში შევარდნა. აქედან გამომდინარე, თუ ამაზეა ლაპარაკი, მე არვიცი ეს რამდენად შესაძლებელია, ამისთქმა ჩემტვის ძალიან რთულია, იმიტომ, რომ მე დღევანდელ ოპოზიციაში მაგის პოტენციალს ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ დღევანდელ ოპოზიციაში წარმმართველი ლიდერი ძალის პოტენციალს. უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, ოპოზიციაც დაკავებულია ძირითადად ერთმანეთში საქმეების გარკვევით.

***— ოპოზიცია თავად ეწევა საკუთარი თავის დისკრედიტაციას...***

— მარტო მაგაშიც არ არის საქმე, სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვერც ხელისუფლებამ და მით უმეტეს, ვერც ოპოზიციამ ნაციონალური იდეა ვერ შესთავაზა ხალხს. ეს პირველ რიგში დღევანდელი ოპოზიციის საქმეა. ნაციონალური იდეა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან აუცილებელი. ეს უნდა იყოს ერთგვარი ნაზავი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თემებისა, რომელიც საბოლო ჯამში ყალიბდება ნაციონალურ იდეაში. აი, ამ ნაციონალური იდეის დეფიციტი განაპირობებს ზუსტად იმ ნიჰილიზმს და პასიურობას, რომელიც არის საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადოების შემგუებლობა სიტუაციის მიმართ რასაკვირველია ზღვარია. ასე ხდებოდა ყოველთვის ყველა ქვეყანაში, ყველა ეპოქაში, როდესაც არანაირი ნაციონალური იდეა აღარ აინტერესებთ, საერთოდ არაფერი აღარ აინტერესებთ, აინტერესებთ მხოლოდ საკუთარი კუჭის შევსება, რაც არის ძალიან ცუდი. ეს არის ისტორიაში ცნობილი ტერმინი — მშიერი ბუნტი, რისი ხილვა პირადად მე ნამდვილად არ მინდა საქართველოში.

***— კეთდება შეფასებებიც, რომ სააკაშვილი თავისივე გუნდის ტყვეობაშია და უსისხლოდ არ დაათმობინებენო...***

— აბა, რა გითხრათ, მე ვხედავ, რომ გარკვეული უთანხმოება თავად მმართველ ჯგუფშიც არის. უფრო ზუსტად, სამზადისი სავარაუდო ცვლილებებისა. ყოველ შემთხვევაში გარკვეული კონტურები იმისა, რომ მმართველი ჯგუფის ერთი ნაწილი ხვალინდელი დღისთვის ემზადება და ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, ეს ჩანს. მე რისი თქმა მინდა, არ არის გამორიცხული, რომ ეს თვითონ უმაღლესი ეშელონებიდან მოდიოდეს. მე გარკვეულ ცვლილებებს ველოდები თვითონ მმართველ გუნდს შიგნით.

***— არის ასეთი მოსაზრებაც, რომ სააკაშვილს საკუთარი გუნდი გაწირავსო და თქვენ ამ პოზიციას ემხრობით?***

— მე ამას ვერ ვიტყოდი. ჯერჯერობით რაც არ ვიცი, იმაზე ვერ ვილაპარაკებ. კონტურები კი ჩანს, მაგრამ კონტურები ვისგან არის მართული და ვის წინააღმდეგ არის ორიენტირებული ამას ჯერჯერობით ვერ ვატყობ. დამატებით რაც შემიძლია ვთქვა, ეტყობა ისეთი გუნდი ჩამოყალიბდება ცოტა ხანში, რომელიც ხაზს ვუსვამ, მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგი იქნება. არა ხელისუფლები, არამედ მთავრობის. აქედან გამომდინარე, მერე რა გამოვა, ეს უკვე რთული სათქმელია.

***— ახალი პოლიტიკური პარტია იქმნება, რომელსაც ბოკერია, ბენდუქიძე და რამიშვილი ქმნიანო, ამასაც ხომ არ გულისხმობდით?***

— მე მაგასაც ვგულისხმობდი, რასაკვირველია, მაგრამ რაც შეეხება ჯერჯერობით ბოკერიას და ბენდუქიძის როლს ამ საქმეში, მე ასე კატეგორიულად არ ვიტყოდი, იმიტომ კი არა, რომ არ ვიცი, ზუსტადაც რომ ვიცი და მაგიტომაც. ნურც პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ ნუ ვიჩქარებთ საუბარს, იმიტომ, რომ არც ეს არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული და გააზრეებული. გარკვეული საპროტესტო განწყობა და გარკვეული მზადება მომავლისთვის არის და სხვა რამ ჯერჯერობით ნაადრევია, როგორც ჩანს.

***— თქვენი აზრით, როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია ამ შემთხვევაში?***

— დასავლეთის პოზიცია უკვე ნათლად გამოხატა პრეზიდენტმა ობამამ. ძალიან მკვეთრად და ნათლად გამოკვეთა და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ის მხოლოდ მუბარაკს ეხება და მარტო ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს, მწარედ ცდება, ეს ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოკავშირეს და ყველა იმ ხელისუფალს, რომელიც თავის ფარად იფარებს ამერიკის და დასავლეთის მოკავშირეობას და თავის ქვეყანაში სჩადის რასაც უნდა. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ობამას განცხადება ცოტა სახიფათოც კია. მაგალითად, პაკისტანის შემთხვევაში, საკმარისია პაკისტანში ის დიქტატორული ძალა, რომელსაც სამხედროების ხუნტა ჰქვია, წავიდეს, რომ ისლამისტების მოსვლა არის ხუთი წუთის საქმე. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი დაკარგავს გავლენას არა მარტო პაკისტანში, არამედ ავღანეთში და ამხელა სივრცეს დაკარგავს მთლიანად და მთელი ეს ნატოს ოპერაცია წყალში ჩაიყრება. ასე რომ, მე იმის თქმა მინდა, რომ ეს გარკვეული ხიფათის შემცველიც არის. როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაციამ შეიმუშავა თავისი მყარი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, რომ გადატვირთვა პროცესში გადატვირთვა მხოლოდ რუსეთთან არ იგულისხმება, იგულისხმება თავის მოკავშირეებთანაც, რომლებიც თავისი ქმედებით, დიქტატორული მანერებით, ანტიდემოკრატიული სვლებით, ამერიკას უფუჭებენ იმიჯს. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გააცნობიერა ის სამწუხარო ფაქტი, რომ ქვეყნებში, რომლებიც მას მხარს უჭერენ, მაგრამ არის ავტოკრატული, დიქტატორული ან ხალხის ნება-სურვილის უგულებელმყოფელი რეჟიმები, იქ ანტიამერიკული განწყობები იზრდება. 21-ე საუკუნეში ხალხით უზარმაზარი მასების შიშით დაჭერის მცდელობა, აუცილებლად კრახით დამთავრდება, ამიტომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია ცდილობს, რომ ეს განწყობები შეცვალოს თავის სასიკეთოდ. ანუ დაიბრუნოს კეთილი განწყობა ხალხის და არა კონკრეტული ხელმძღვანელების. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს, მე ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ყველამ ძალიან კარგად უნდა გაითვალისწინოს და სხვათა შორის, ეს უნდა გაითვალისწინონ კავკასიის ზოგიერთ ქვეყანაში.

***— აუცილებლად გადმოედება საქართველოს ეს განწყობაო, ბევრი ფიქრობს, რომ გამოფხიზლდება საზოგადოება და ლიდერის გარეშე გამოვა ქუჩაში...***

— საზოგადოება უკვე გამოფხიზლებულია, მაგრამ საზოგადოებას სჭირდება ძლიერი არგუმენტი და მე არ მინდა, რომ ეს არგუმენტი შიმშილი იყოს.

***— ბატონო მამუკა, იმ ფონზე, რაც ლიბიაში ხდება, ჩვენთან მოვისმინე ასეთი შეფასებები, რომ შესაძლოა სააკაშვილიც ზუსტად ისე მოიქცეს, როგორც ლიბიის ლიდერი იქცევაო...***

— არა მგონია. აბსოლუტურად განსხვავებულები არიან. ყველაფერი შეიძლება დავაბრალოთ სააკაშვილს, მაგრამ ის, რომ ის ისევე მოიქცევა, როგორც იქცევა კადაფი, აბსოლუტურად გამორიცხულია. სულ სხვა რეალობებია, ჩვენ სულ სხვა ტიპის ქვეყანაში ვცხოვრობთ და სხვა ტიპის ილუზიურ სამყაროში იმყოფებიან ჩვენი და ლიბიის ლიდერები. ლიბიის ლიდერი შეჩვეულია, რომ ის არის უკვე 40 წელია მეფე, განმკარგავი არა მხოლოდ თავისი ქვეყნის მოქალაქეების ბედისა, არამედ არაბული სამყაროს გარკვეული ნაწილისა. რაც ყველაზე მთავარია, ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობის იმპორტიორი ქვეყანა. ის არის სხვა სიმაღლეზე, მართლა მეფე ჰგონია თავი. ვაშინგტონში რომ ჩადის, ჩადის თავისი კარვით. ვაშინგტონში შლის თავის კარავს და იქ ცხოვრობს თავისი არმიით და მთელი მხლებლებით. მას ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. საერთოდ, ეს ის კაცია, რომელიც მსოფლიოს ტერაქტებს უწყობდა. გახსოვთ, ალბათ, ამერიკული ლაინერის აფეთქება და ასე შემდეგ და როცა მისი სასახლე დაბომბეს ამერიკელებმა, მას წარბიც არ შეუხრია, ისე გააგრძელა თავისი საქმიანობა. ეს სულ სხვა ტიპის ადამიანია და მე არ მინდა, რომ რაღაც არასწორი განწყობები შეიქმნას. ის სულ სხვა ტიპის ხელმძღვანელია, სააკაშვილი სხვა ტიპის კაცია. დარწმუნებული ვარ, რომ არავითარ შემთხვევაში სააკაშვილი ისეთი ტიპის ნაბიჯებზე არ წავა, როგორზეც წავიდა კადაფი. რასაკვირველია, გარკვეული მცდელობები იქნება ძალაუფლების შენარჩუნებისა. დღეს, იცით, რა ხდება ლიბიაში? ლიბიაში მიდის საკუთარი ხალხის გენოციდი და სხვათა შორის, არც ეს ხალხი არ ერიდება ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების გაჟლეტას.

# სოზარ სუბარი — ჩვენ აუცილებლად დავძლევთ უიმედობას

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა არ არის ძნელი და წარმოუდგენელი ამოცანა.

ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციას შეეძლო სერიოზული წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ, როცა პასიური ხარ და არ მოქმედებ, მიზნის მიღწევა ძალიან ძნელია. გამარჯვება დღესაც შეიძლება და ეს რეალურია. მთავარია დაიძლიოს უიმედობა„ — განაცხადა „ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ პარტიის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის ოფისის გახსნაზე.

სოზარ სუბარს ოპტიმიზმს მატებს ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში ახალგაზრდობა საკმაოდ გააქტიურდა და აღარ აპირებს იყოს პასიური.

— ახალგაზრდობა ეს ის ძალაა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება, — მიიჩნევს სუბარი.

მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლება იმ პოლიტიკურმა ძალამ უნდა შეცვალოს, რომლისთვისაც მთავარი ღირებულება ადამიანია და არა შუშის შენობები ან უსარგებლო ხიდები.

ასეთი პროგრესული პოლიტიკური ძალა „ქართული პარტიაა“.

— ჩვენ აუცილებლად დავძლევთ უიმედობას და ხალხს უკეთესი მომავლის რწმენას დავუბრუნებთ, — აღნიშნა მან.

მისივე განცხადებით, საქართველოს განვითარების პერსპექტივას დიდ საფრთხეს უქმნის ის, რომ უცხოური ინვესტიციები შემოსვლის ნაცვლად ქვეყნიდან გაედინება. ამ გარემოებას სოზარ სუბარი ბიზნესზე სახელისუფლებო წრეების მხრიდან ზეწოლით ხსნის.

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლების ხელში ნადგურდება მსოფლიოში ცნობილი ქართული სამეცნიერო ცენტრები და სკოლები-მედიცინის, მათემატიკის, კავკასიოლოგიის და ასე შემდეგ.

— ჩეხეთში ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება იმისთვის, რომ მსოფლიოში რაც კი ღირებული სამეცნიერო ლიტერატურა გამოდის, ჩეხურ ენაზე ითარგმნოს. საქართველო ამის საპირისპირო მაგალითია. ჩვენთან ქართული ენა იგნორირებულია და ინგლისურია გაფეტიშებული, — აცხადებს სოზარ სუბარი.

შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებზეც ისაუბრეს. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის როსტომ ცარციძის თქმით, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან მაღაროელები, რომელთა სიცოცხლე მუდმივი რისკის ქვეშ არის, ვინაიდან შახტებში უსაფრთხოების ელემენტარული ზომებიც კი არ არის დაცული.



**ინტერპრესნიუსი**

# გრიგოლ ვაშაძე ჩეხეთს ეწვევა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე 24 თებერვალს სამუშაო ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკას ეწვევა.

სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილია მისი შეხვედრა თავის კოლეგა კარელ შვარცენბერგსა და თავდაცვის მინისტრ ალექსანდრ ვონდრასთან. შეხვედრებზე ჩეხეთსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრი განიხილება.

გრიგოლ ვაშაძე ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ახალი შენობის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც მისი სახელით ოფიციალური მიღება გაიმართება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი ჩეხეთში 25 თებერვალს დასრულდება.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ოპოზიციის ნაწილი შეურაცხადია!



ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა დებატების დროს ოპოზიციის გარკვეული კლასიფიკაცია მოახდინა. სწორედ გოკა გაბაშვილს ეკუთვნის ოპოზიციის მიმართ ისეთი შეფასებები, როგორიც არის არაკომპეტენტური, შეურაცხადი და ყრუ.**

გოკა გაბაშვილი:

— ოპოზიციის ერთი ნაწილი რადიკალურია, იმიტომ, რომ დავალება აქვს რადიკალური იყოს. ვისგან აქვს ეს დავალება ეს უკვე აღარავისთვის დასამალი აღარ არის. ქართველი ხალხი ძალიან კარგად ხედავს, ეს ხალხი ვის გვერდში დგას პარადზე რუსის ჯართან ერთად. იმ ჯარის პარადზე, რომელიც საქართველოში შემოიჭრა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები აქვთ ოკუპირებული. ეს ადამიანები: ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და სხვები, რომლებიც პირდაპირ თავის პარტნიორი პარტიის — „ედინაია როსიას" და მისი ლიდერის დავალებით მოქმედებენ არანაირი მხარდაჭერა საქართველოში არა აქვთ. ქართველი ხალხის უმეტესობას ძალიან ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ პრორუსულ ძალებთან დაკავშირებით.

***— ექსპერტების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ეგვიპტის და ტუნისის სცენარი საქართველოში განვითარდეს, ეს რამდენად არის მოსალოდნელი?***

— ეს მხოლოდ მიუთითებს იმ ექსპერტების დონეზე, ვინც ასე ხსნის. სოციალური პრობლემები მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების დროს ყველგან არის. აქ საუბარია იმაზე, რომ გარკვეულ ქვეყნებში ადამიანებს მობეზრდათ 30 და 40 წელი ერთი და იგივე ლიდერები, რომლებიც დამამცირებელ მდგომარეობაში ამყოფებენ. ამის შედარება ქვეყნებთან, სადაც ჩვეულებრივად არჩევნები ტარდება და ხელისუფლება იმ ვადით მოდის, რა ვადითაც არის არჩეული, მათი ერთმანეთთან შედარება სრული აბსურდია. ევროპული ქვეყნები, რომლებიც ლიბერალურ რეფორმებს ატარებენ, ისინი შეადარო იმ ქვეყნებს, რომლებიც ნედლეულის ნემსზე სხედან და მათი მმართველები 40 წელი არ იცვლებიან, ეს პოლიტიკური სიბეცეა.

***— საქართველოში 20-30 ლარიანი ვაუჩერების დარიგება — ეს მოკლევადიანი გამოსავალია, თქვენი ოპონენტების შეფასებით, ეს ხანძრის ჩაქრობაა და არა პრობლემის გადაწყვეტის გზა?***

— ეს არის მოკლევადიანი გამოსავალი, მაგრამ როდესაც ადამიანებს უჭირთ, უნდა იფიქრო მოკლევადიან გამოსავალზე. ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია როგორია, ამაზე არაერთხელ გვითქვამს და ეს კეთდება კიდეც. ამ ქვეყანაში უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, ვითარდება ყველა მიმართულებით, მაგალითად, ენერგეტიკული პრობლემები ბოლო წლებში რომ არ მოგვარებული, ქვეყნის განვითარებაზე ზედმეტი იქნებოდა. ინფრასტრუქტურა რომ არ მოგვარდეს, ყველანაირ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ამას ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ, ზოგჯერ მტკივნეული მეთოდებით, მაგრამ ვაკეთებთ. ჩვენი ვალდებულებაა რამდენადაც სახელმწიფო შედგა და რა საშუალებაც აქვს, ისე, რომ არ წარმოშვას ინფლაციური რისკები, ერთჯერადი დახმარება გაუწიოს კონკრეტულ ადამიანებს. ასეთია, მაგალითად, ელექტროენერგიის ვაუჩერი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონებშიც და თბილისშიც. თანაც ეს აჩენს გარკვეული სოლიდარობის განცდას. ძალიან ბევრმა ადამიანმა კარგად იცის ყველაზე გაჭირვებული ოჯახები და მათ გადასცეს თავისი ვაუჩერები.

***— 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგებას 20 მილიონი ლარი სჭირდება, 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერების დარიგებას — 30 მილიონი, ანუ მთლიანობაში 50 მილიონი ლარია საჭირო. თავის დროზე, ეს 50 მილიონი უფრო სწორად რომ დახარჯულიყო, თუნდაც ზაფხულში ხორბლის შესაძენად, უკეთესი არ იქნებოდა?***

— ეს ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის და ვინც ასეთ კავშირებზე საუბრობს, ნამდვილად არ არის ჩახედული სოფლის მეურნეობის საკითხებში. იმიტომ, რომ ის, რაც უნდა გაკეთებულიყო შარშან, ეს ყველაფერი შარშან გაკეთდა. ამას არანაირი ზეგავლენა არა აქვს იმ სასურსათო გაძვირებათან, რომელიც წელს მთელ მსოფლიოში მოხდა სხვადასხვა ფაქტორების გამო. პლუს ჩვენ დიდწილად სასურსათო პროდუქტების იმპორტზე ვართ დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ნაბიჯებს ვდგამთ იმისკენ, რომ ეს დამოკიდებულება რაც შეიძლება მალე შემცირდეს. ვინც ავტომატურად ანგარიშობს, რომ ეს 50 მილიონი ლარი, რომელიც ვაუჩერებზე იხარჯება შარშან რომ დახარჯულიყო, წელს ადამიანებს ვაუჩერების საჭიროება აღარ ექნებოდათ, ეს აბსოლუტურად არასწორი დაანგარიშებაა.

***— რაც შეეხება ოპოზიციის კლასიფიკაციას, რომელიც თქვენ პარლამენტის სხდომაზე მოახდინეთ. თქვენ ოპოზიცია დაჰყავით არაკომპეტენტურებად და შეურაცხადებად, საპარლამენტო ოპოზიცია რომელ კატეგორიაში შედის?***

— შეურაცხად ოპოზიციაში ის კატეგორია შემყავს, რომელიც საქართველოში ოცნებს არა სტაბილურობასა და განვითარებაზე, არამედ სამოქალაქო ომზე. ეს შეურაცხადი ოპოზიციაა. არაკომპეტენტური ოპოზიციაა ის ოპოზიცია, რომელმაც არ იცის არც კონტექსტი, არც პროცენტი, არც ვითარება და რომელიც 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგების დროს ხალხში სიარულს იწყებს და იმის გარკვევას, რომ ამას ადამიანებისთვის მართლა რაღაც მნიშვნელობა ჰქონია. ეს არის არაკომპეტენტური ოპოზიცია, რომელსაც არ უნდა ადამიანებთან მანამდე კონტაქტი, სანამ გადაწყვეტილებაზე დავას დაიწყებს. შეურაცხადი არის ის, ვისაც ჰგონია, რომ საქართველოს მაგრად წაადგებოდა ერთი კარგი სისხლისღვრა.

***— თქვენ დაყრუებული ოპოზიციაც ახსენეთ, ეს კიდევ სხვა კატეგორიაა?***

— მე კატეგორიებად არ დამიყვია, საპარლამენტო დებატების დროს ყველგან ასე ხდება, ერთმანეთს ოპოზიცია და პოზიცია რაღაცას ეუბნება.

***— როგორ არა, თქვენ სიტყვა ყრუ ახსენეთ?***

— ყრუ იმიტომ, რომ თუ ჩემი ოპონენტი გამოდის და ამბობს: თქვენ ადამიანების სოციალურ გაჭირვებას ვერ ხედავთ, სამოთხეში და მდიდარ ქვეყანაში გგონიათ ვცხოვრობთო, არც მდიდარ ქვეყანაში მგონია, რომ ვცხოვრობ, ხალხის გაჭირვებაც ვიცით და მათ ინტენსიურადაც ვეკონტაქტებით. რუსთაველის პროსპექტის პარტიებმა, რომლებსაც საქართველოს არც ერთ რეგიონში ფეხი არ გაუდგამთ, წლების განმავლობაში ადამიანებს არ დალაპარაკებიან და თავის მოგონილ სამყაროში ცხოვრობენ, ამიტომ დასცინიან გზებს, გაზიფიკაციას, წყლის პრობლემების მოგვარებას, მასწავლებლების ხელფასის 25 ლარით გაზრდას. იმიტომ დასცინიან, რომ მათთვის არც წყალია პრობლემა, არც გაზი, არც 25 ლარი, ამიტომ დასცინიან იმას, რასაც ხელისუფლება აკეთებს. როდესაც გარეთ გაიხედავენ და ნახავენ, რომ ადამიანების რა არის მნიშვნელოვანი, მერე ხვდებიან, რომ შეცდომა დაუშვეს. ჯერ გაარკვიონ და მერე ილაპარაკონ.

***— რა, საქართველოში კომპეტენტური ოპოზიცია არ არის?***

— ნელ-ნელა გარკვეულ კომპეტენციას იძენენ.

***— ვინ დგას კომპეტენტურთა რიგში?***

— შემდეგი სოციოლოგიური გამოკითხვა რომ ჩატარდება, ვისაც ნახავთ, რომ მოსახლეობის პოზიცია და აზრი ყველაზე უკეთ ესმით და ჩვენ შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე ადგილზე არიან, ისინი შედარებით კომპეტენტურები არიან. კომპეტენციაზე ზედმეტი ლაპარაკი არ მინდა, სწავლა ყოველთვის კარგია, არასოდეს გვიან არავისთვის არ არის. ეს არ არის არანაირი ცინიზმის და სარკაზმის საკითხი.

***— ოპოზიციის მიმართ თქვენი კრიტიკა იმან ხომ არ გამოიწვია, რომ ქრისტიან-დემოკრატებმა მთავრობას ბრმების მთავრობა უწოდეს?***

— პოლიტიკურ დებატებს თავისი წესი აქვს, ბუნებრივია, მწარე შემოტევაზე მწარე პასუხია. ეს ასეა. სერიოზულად უნდა ითქვას, რომ ბევრ საკითხში ვთანამშრომლოთ, ბევრ რამეში ერთმანეთს არ ვეთანხმებით, ვაკრიტიკებთ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველას ერთი ქვეყანა გვაქვს და ერთი ქვეყანა გვიყვარს და ერთი ქვეყნისთვის გვინდა რაღაც გავაკეთოთ. თუ ხედვებში ერთმანეთს არ ვეთანხმებით, ეს არ ნიშნავს, რომ ერთმანეთის მტრები ვართ. პოლიტიკაში ჩვენ გვყავს ოპონენტები და ამ ოპონირებას თავის წესები აქვს, მათ შორის, საპარლამენტო ოპონირების წესი მწარეა.

***— ჯონდი ბაღათურიამ თქვენ ფერადი პლაკატების სწრაფი მბეჭდავი გიწოდათ, ამაზე რას იტყვით?***

— ჯერ ერთი, ბატონი ჯონდი ბაღათურია სამშაბათს, სხდომაზე ნამდვილად აღარ უნდა გამოსულიყო, იმიტომ, რომ იგივე ნაბეჭდი მასალა გამოიტანა. მეორედ ვურჩიეთ, რომ ეს მასალა წაიკითხოს სათაურით დაწყებული, გრაფიკის მონაცემებით დამთავრებული. დარბაზში ცალკე ავუხსენი რა წერია და იმედი მაქვს, ამჯერად მაინც გაიგო რა წერია სოციალურად დაუცველთა გამოკითხვაში. როდესაც სოციალურად დაუცველებთან მიდიხარ და მათ გამოკითხვას აწარმოებ, ამ შედეგების გადატანა ვითომ მთელი მოსახლეობა გამოიკითხე, არასწორია და ამას ნებისმიერი პირველკურსელი სოციოლოგი აუხსნის ბატონ ჯონდის.

***— ისე, როგორ მოახერხეთ ფერადი პლაკატების ასე სწრაფად აფრიალება გიორგი თარგამაძის გამოსვლის შემდეგ?***

— როგორ უნდა მომეხერხებინა? „გუგლი" ფოტოს 26 წამში პოულობს.

***— სხდომათა დარბაზში კომპიუტერი რომ არ გქონდათ?***

— დარბაზში არ მქონდა კომპიუტერი, მაგრამ ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ მომიტანა ფოტოები, რომელსაც ვთხოვე, რომ ფოტოები მოეტანა, მეორე კოლეგამ მომიტანა შავი ფლომასტერი. ასე რომ, ეს ძალიან მარტივია...




## ტელეკომპანია „იმედს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

ტელეკომპანია „იმედის" ახალი გენერალური დირექტორი გიორგი ლომინაძე გახდა. როგორც „მედიანიუსს" ტელეკომპანია „იმედიდან" აცნობეს, გიორგი ლომინაძე აღნიშნულ თანამდებობაზე გუშინ დაინიშნა. ამ დრომდე „იმედის" გენერალური დირექტორის თანამდებობა თემურ ხუბულავას ეკავა, რომელმაც თანამდებობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა.

აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე გიორგი ლომინაძე ტელეკომპანია „იმედის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე იყო.

**მედიანიუსი**

## აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტეინბერგი თბილისს ეწვევა

24 თებერვალს, კავკასიაში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტეინბერგი თბილისს ეწვევა. თბილისში ჩამოვა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონიც.

როგორც „მედიანიუსს" აშშ საელჩოდან აცნობეს, დელეგაციის წევრები შეხვდებიან პრეზიდენტ სააკაშვილსა და საქართველოს მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებს. მხარეები განიხილავენ ორმხრივი თანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს. გაიმართება მრგვალი მაგიდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. კავკასიის შემდეგ, დელეგაცია ბოსნიასა და ალბანეთში გაემგზავრება.

**მედიანიუსი**

## იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გაიხსნა

გუშინ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერთა (იუნკერთა) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გაიხსნა. იუნკერთა მემორიალური დაფა იმ შენობაზე განთავსდა, სადაც 1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერთა სკოლა იყო განთავსებული.

მემორიალური დაფის გახსნას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალი დევი ჭანკოტაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ ხარშილაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი და იუნკერთა შთამომავლები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ 1921 წელს რუსეთის შეიარაღებული ძალები რამდენიმე მხრიდან შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისის დასაცავად იუნკრები კოჯორ—ტაბახმელას მიდამოებში განლაგდნენ. მათი დიდი ნაწილი გმირულად დაეცა კოჯრის ველზე. **მედიანიუსი**

# გაზაფხულზე აქციებს აუცილებლად დავიწყებთ!

ნონა ცაბა ე



## ინტერვიუ ხალხის პარტიის ლიდერ კობა დავითაშვილთან

***— ბატონო კობა, თქვენი აზრით, ეს 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები რამდენად გააუმჯობესებს ქვეყანაში სოციალურ ფონს?***

— მეეჭვება, რომ ფასების ზრდას, ტარიფების ზრდას, გადასახადების ზრდას, რომელიც ხელისუფლების მიერ არის განხორციელებული, შველოდეს ეს ვაუჩერები. მე უფრო მარტივ გამოსავალს ვიტყოდი, თავი დაანებონ ტარიფების ზრდას, თავი დაანებონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ფასების ზრდას და ტარიფების ზრდას იწვევს და ასეთ შემთხვევაში სამოწყალო ვაუჩერების გაცემის პიარკამპანია აღარ დასჭირდებოდათ.

***— რა პროცესების განვითარებას ელით? ბევრი ფიქრობს, რომ გაზაფხულზე შესაძლოა მშიერი ბუნტი მოხდესო...***

— არ გამოვრიცხავ ნამდვილად ამას, ჩვენ მოვუწოდებთ კიდეც საზოგადოებას, რომ კონკრეტული სოციალური მოთხოვნებით გამოვიდნენ ქუჩაში და დავსვათ ის საკითხები, რაც გვაწუხებს, რაც ჩვენს ოჯახებს ეხება, ჩვენს შვილებს ეხება, ჩვენს მომავალს ეხება. მოვითხოვოთ ხელისუფლებისგან იმ გადაწყვეტილებების შეცვლა, რომელიც ხალხის საზიანოა.

***— ეროვნული საბჭო ხომ აპირებდა ამ მოტივით აქციების დაწყებას?***

— ვაპირებთ კიდეც.

***— როდისთვის იგეგმება?***

— რთულია ამის თქმა, ჩვენ ახლა ორგანიზაციების გაერთიანების პროცესში ვართ, ორგანიზაციული საქმიანობით ვართ დაკავებული, მაგრამ გაზაფხულზე ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ ამ აქციებს.

***— ზოგიერთი ოპოზიციონერი გამოსავალს მხოლოდ რევოლუციაში ხედავს, თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ჩვენთვის სასურველია, რომ ცვლილებები მოხდეს არჩევნების გზით და სააკაშვილმა უნდა გააკეთოს მერე არჩევანი, არჩევნების გზით ურჩევნია წასვლა თუ არ შეეგუება ის ამ შედეგებს. დარწმუნებული ვარ, არჩევნები რომ ჩატარდეს, სააკაშვილს ხალხი ხმას აღარ მისცემს. ისინიც კი, ვინც მართლა მისცა ხმა. მე არ ვსაუბრობ გაყალბებაზე, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო.

***— ისიც საკითხავია, რამდენად სამართლიანად ჩაატარებენ ამ არჩევნებს?***

— სწორედ ამიტომ ჩვენ გვაქვს ჩვენი კონკრეტული მოთხოვნები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და მოვითხოვთ მის დაკმაყოფილებას და თუ ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, ბუნებრივია, საპროტესტო აქციებს კიდევ უფრო მეტი გამართლება მიეცემა.

***— თქვენ საუბრობთ, რომ სოციალური მოთხოვნებით უნდა გამოვიდეს ხალხი ქუჩაში, ეს ხომ არ გადაიზრდება უფრო მწვავე აქციებში და ხომ არ მივიღებთ იმას, რაც მოხდა ტუნისსა თუ ეგვიპტეში?***

— ეს დამოკიდებულია თვითონ ხელისუფლების ქმედებებზე. თუ ხელისუფლება დათმობს და გადასინჯავს თავის არასწორ გადაწყვეტილებებს, ასეთ შემთხვევაში — არა, თუ ხელისუფლება გაჯიუტდება და უარს იტყვის ამ გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე, მაშინ — კი. სავსებით შესაძლებელია, რომ გაზაფხულიდან ველოდოთ რადიკალურ ქმედებებს და გამოსვლებს.

***— რა ხდება დღეს ოპოზიციაში, ბატონო კობა?***

— კონსულტაციები მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული კონსულტაციების პროცესში და ჩვენ გვინდა, რომ ოპოზიციის სხვადასხვა ძალებს შორის იყოს მაქსიმალური კოორდინაცია, მინიმუმ ურთიერთთავდაუსხმელობა და იდეალური იქნებოდა ერთობა.

***— ერთობა ალბათ ამ სიტუაციაში ყველაზე კარგი ვარიანტია...***

— ჩვენ ყოველთვის ერთობის მომხრე ვიყავით და ვრჩებით კიდეც.

***— თუ დაიწყეთ სოციალური კუთხით გამოსვლები, როგორ ფიქრობთ, შემოგიერთდებიან სხვა ოპოზიციური პარტიებიც?***

— დარწმუნებული ვარ, რომ კი. ჩვენს კოლეგებთან ძალიან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და არ მეგულება არც ერთი პოლიტიკური ძალა, ვისთანაც ეროვნული საბჭო კონფროტაციის რეჟიმში იმყოფებოდეს.

***— ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხალხს ყელში ამოუვიდა ოპოზიციის გაუთავებელი კინკლაობა და სწორედ მათ გარეშე გამოვა ქუჩაშიო...***

— ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია, იმიტომ, რომ იგივე ეგვიპტეში, მანამდე ყირგიზეთში, ოპოზიციის გარეშე მოხდა სპონტანურად ეს ყველაფერი. ამ ალბათობის გამორიცხვა საქართველოშიც შეუძლებელია.

***— თუმცა, საკითხავია, რამდენად დათმობს სააკაშვილი?***

— არც კადაფი არ თმობს, მაგრამ მოუწევს. სააკაშვილიც თუ ასე მოიქცა, ის უფრო ცუდად დაამთავრებს, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

***— როგორც ცნობილია, სახალხო კრებასთან თანამშრომლობა გაწყვიტეთ, რა მოტივით?***

— დიახ, ჩვენ აღარ ვთანამშრომლობთ. ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი, რომ სახალხო კრება გახდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა კოორდინაციის და ურთიერთთანამშრომლობის არე და ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, სახალხო კრება თვითონ ჩაერთო პოლემიკაში სხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან, რაც ნამდვილად ხელს არ უწყობს ერთიანობის იდეას, რომლის მომხრენიც ვართ ჩვენ.

***— ითქვა ისიც, რომ ქართულ პარტიასთან აპირებთ თანამშრომლობას, ეს რამდენად შეეფერება რეალობას?***

— რამე განსაკუთრებულ ექსკლუზიურ თანამშრომლობას არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ ვგეგმავთ. ჩვენი მიზანია დიდი ერთობა და არა რომელიმესთან ვიწრო ალიანსის შექმნა.

***— ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად საუბრობენ ეროვნული საბჭოს კავშირებზე რუსეთთან, რომ თქვენ რუსული ფულით ფინანსდებით, ამას წინათ იგორ გიორგაძესთან ალიანსშიც დაგდეს ბრალი...***

— რუსეთთან ურთიერთობას რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გამთლიანება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე არის შეუძლებელი. ამიტომ ქვეყნის პატრიოტებს, ვისაც ჩვენი ქვეყნის გაერთიანება გვინდა, აუცილებლად მიგვაჩნია რუსეთთან დიალოგი. ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესი, თუკი სანაცვლოდ რუსეთი გაითვალისწინებს საქართველოს ინტერესებს. ასე რომ, ჩვენი ფორმულა რუსეთთან ურთიერთობის ძალიან ცხადია და სრულიად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ამას ვერ ვიტყოდი ხელისუფლების პოზიციაზე, რომელიც ხან დიალოგზე საუბრობს რუსეთთან და ხან კიდევ კურილიის კუნძულების ოკუპაციის თემას სვამს პარლამენტში. ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

***— ალბათ, დასავლეთის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, საუბარია, რომ დასავლეთი სააკაშვილს გაპრემიერებაში ხელს არ შეუშლისო...***

— დასავლეთი არც ჩვენ არ შეგვიშლის ხელს, რომ სააკაშვილი ვერ გახდეს პრემიერი. მათი პოზიცია ამ შემთხვევაში ნეიტრალური იქნება.

# ლევან ვარშალომიძემ მთავრობის წევრები დატუქსა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მინისტრთა კაბინეტს ცუდი მუშაობისათვის უსაყვედურა. როგორც მან მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მაღალმთიან სოფლებში დიდთოვლობის გამო გზები ჩაკეტილია, იქ ექიმები ვერ ადიან, რის გამოც მოსახლეობა სამედიცინო დახმარებას მოკლებულია, მთავრობა და გამგებლები კი ამ დროს „ჩუმად არიან“. გზებზე შექმნილი მდგომარეობის გამო ლევან ვარშალომიძემ საგზაო დეპარტამენტის თანამშრომლებიც გააკრიტიკა.

— არ ვამართლებ საგზაო დეპარტამენტს. როცა მთაში თოვლი მოდის, გზები იმის მიხედვით არ უნდა დაიყოს, საქართველოს საგზაო დეპარტამენტის გზაა თუ აჭარის. გზა გზაა და ყველგან უნდა გაიწმინდოს. სამი დღის განმავლობაში პირადი ჩარევის გარეშე არაფერი გაკეთდებოდა. სურვილი არ ჰქონდათ, განძრეულიყვნენ და საქმე გაეკეთებინათ. ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონები ვილაც რომან დავითიძის იმედად იყვნენ. ის იყო მათი გადამრჩენი. მთავრობა, სამინისტროები და გამგებლები — ყველანი ჩუმად ისხედით, —აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ.

აჭარის მთავრობის მეთაური კომპანია „იბერია.გე“-ს საქმიანობითაც დაინტერესდა. აღნიშნულმა კომპანიამ ტენდერში გაიმარჯვა და რეგიონის მაღალმთიანეთში გზები უნდა გაეწმინდა, მაგრამ ვარშალომიძის თქმით, მას საქმე არ გაუკეთებია.

— მინდა, „იბერია.გე“ პირად კონტროლზე აიყვანოთ. ტენდერში გამარჯვება ერთია, მაგრამ რისი გამკეთებელია იგი, აქვს თუ არა საერ-



თოდ რამის საშუალება, — აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ.

**მედიანიუსი**

# აკაკი ბობოხიძე: პრემიერს შეცდომა მოუვიდა



პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძე მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციაზე განწყობების შექმნისას შეცდომა მოუვიდა.

როგორც მან გარემოს დაცვის ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას განაცხადა, თავიდანვე ჩამოყალიბდა მცდარი წარმოდგენა, თითქოსდა გარემოს დაცვის სამინისტრო იშლება. ბობოხიძეს მიაჩნია, რომ რეორგანიზაციის შედეგად, შესაძლოა, გარემოს დაცვის სამინისტრო უფრო ძლიერ „მონსტრად“ ჩამოყალიბდეს, რადგან მისი უშუალო ფუნქცია გარემოს დაცვა და მასზე პასუხისმგებლობა იქნება. დეპუტატის მოსაზრებით, სწორედ ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად უნდა გამოითქვას ის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება გარემოს დაცვის უწყების ეფექტურ უწყებად ჩამოყალიბებისათვის გახდება აუცილებელი.

— მან, შესაძლოა, ერთგვარი კონტროლის პალატის ფუნქციაც კი შეითავსოს, — აღნიშნა აკაკი ბობოხიძემ.

დეპუტატისათვის უცნობია, თუ „ვინ რას გულისხმობს“ გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციაში, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულია, რომ გარემოს დაცვის უწყება დღემდე არსებულზე ძლიერ უწყებად უნდა იქცეს.

**მედიანიუსი**

# დეპუტატები ეუთოს სესიაზე დასასწრებად წავიდნენ

ქართველი პარლამენტარები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 24-26 თებერვალს ვენაში გაიმართება.

დეპუტატები: გიორგი წერეთელი, გიორგი კანდელაკი, აკაკი მინაშვილი ვენაში უკვე გაემგზავრნენ. ისინი სხდომის მონაწილეებს ინფორმაციას გააცნობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე და იქ ეუთოს მისიის აღდგენის აუცილებლობაზე ყურადღებას კიდევ ერთხელ გაამახვილებენ.

ეუთოს საპრალმანეტო ასამბლეის ზამთრის სესიის მონაწილეები მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელებენ.

**პრაიმ-ნიუსი**

# სასამართლო ცოტნე გამსახურდიას საქმეზე გადაწყვეტილებას 28 თებერვალს მიიღებს



პროკურატურა ცოტნე გამსახურდიასთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს.

როგორც გუშინ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ცოტნე გამსახურდიას ერთ-ერთმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ბრალდების მხარემ თავისი სიტყვა უკვე წარმოთქვა, ხოლო დაცვის მხარე სიტყვით 28 თებერვალს წარდგება. მოსამართლე კი განაჩენს სწორედ 28 თებერვალს, დაცვის მხარის სიტყვით გამოსვლის შემდეგ გამოიტანს.

ქეთი ბექაურის თქმით, პროკურატურა სასჯელის შეკრებას მოითხოვს.

— როგორც იცით, გამსახურდიას 9,6 წელი უკვე აქვს მისჯილი და პროკურატურა ითხოვს, რომ დარჩენილ სასჯელს რვა წელს, შვიდი წელიც დაემატოს, — განაცხადა ბექაურმა და დასძინა, რომ მოსამართლეს დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე გუშინდელ პროცესზე უარი არ განუცხადებია.

— თუმცა მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას გასცემს პასუხს ჩვენ მიერ შუამდგომლობაში დაყენებულ თითოეულ არგუმენტს, — განაცხადა ბექაურმა.

როგორც ცნობილია, დაცვის მხარე მოსამართლეს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ვიდიო-აუდიო მტკიცებულებების გაუქმებას სთხოვს, რადგან გამსახურდიას ადვოკატების განცხადებით, ეს მტკიცებულებები უკანონო გზით არის მოპოვებული.

როგორც ცნობილია, პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესებს ბრალდებული ცოტნე გამსახურდია არ ესწრება.

ცნობისათვის: სასამართლო განიხილავს ცოტნე გამსახურდიასთვის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციიის გატანის სანაცვლოდ, 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. დაკავების მოტივი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო. მას 9,6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**მედიანიუსი**

# ათონელმა მამებმა თსუ-ში საჯარო ლექცია წაიკითხეს

გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში სტუმრად მყოფი ათონელი მამების (ვატოპედელების) დელეგაცია ეწვია.

ათონელი მამები თსუ-ის პროფესორებსა და სტუდენტებს შეხვდნენ.მათ წაიკითხეს საჯარო ლექცია თემაზე: „ათონის მთა და ქართველობა“.

შეგახსენებთ, ათონელი მამები საქართველოში ოფიციალური ვიზიტით 17 თებერვალს ჩამობრძანდნენ. მათ სიონის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინეს. ასევე, წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსთან, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად თანამსახურებით საკვირაო ლიტურგია აღავლინეს. ათონელი მამები ასევე შეხვდნენ სასულიერო სემინარიის სტუდენტებს. ისინი საქართველოში 24 თებერვლამდე დარჩებიან.

**მედიანიუსი**

# ლიბიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საფრთხე არ ემუქრებათ

ნათია ხურცილავა



ახლო აღმოსავლეთში რევოლუციური პროცესები დომინოსებური პრინციპით განვითარდა. ტუნისისა და ეგვიპტის შემდეგ, გამოსვლები ლიბიაში დაიწყო. ლიბიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებმა უკვე დაიწყეს თავიანთი მოქალაქეების ევაკუაცია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა და თავის მოქალაქეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ცხელ წერტილებში გამგზავრებისგან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ განაცხადა, რომ ლიბიაში საქართველოს ოთხი მოქალაქე იმყოფება და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს დიპლომატიურ უწყებაში განაცხადეს, რომ ოფიციალური ინფორმაცია ლიბიაში საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით არ მიუღიათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც ცნობილია, ლიბიაში არ აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა. ამდენად, საქართველოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება რთულია. თუმცა, საქართველოს ოთხ მოქალაქეზე ინფორმაცია სამინისტრომ მათი ახლობლებისგან მიიღეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ლიბიაში მყოფ საქართევლოს ოთხი მოქალაქის ახლობლებისგან დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას. ამ ინფორმაციის თანახმად მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება და ისინი ჩარტერული რეისით სამშობლოში დაბრუნდებიან.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, ლიბიაში ასევე იმყოფებიან ქართველი მეზღვაურები. თუმცა, მეზღვაურებთან დაკავშირებით მდგომარეობა უფრო რთულად არის, რადგან მეზღვაურებისთვის გემთმფლობელ კომპანიას დავალიანება აქვს გადასახდელი.

გავრცელებული ინფორმაციით, ლიბიაში მყოფი ქართველი მეზღვაურების საქართველოში დაბრუნება რამდენიმე კვირის წინ იგეგმებოდა, მაგრამ ლიბიაში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა მათი ბედი, შეიძლება ითქვას, გაურკვეველი გახადა. გადაუხდიან თუ არა თანხას ქართველ მეზღვაურებს, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მათი სამშობლოში დაბრუნება.

— რაც შეეხებათ მეზღვაურებს, ეს მეზღვაურები დაკავებულები არ არიან, ეს არიან მეზღვაურები, რომელთა მიმართაც აქვს დავალიანება გემთმფლობელ კომპანიას. ამჟამად მიმდინარეობს ამ საკითხის გადაწყვეტა. ეს დაკავშირებულია ფანანსურ საკითხთან. გემი გაჩერებული იყო ლიბიის მხარის მიერ, რადგან ტვირთი დაზიანდა, რის გამოც არ მოხდა ამ ტვირთის ჩაბარება. გემი იქნა დაკავებული და ამიტომ ვერ მოხერხდა ჯერჯერობით თანხის გადახდა. თუმცა, მუშაობა მიმდინარეობს. აპირებენ ჩასვლას გემის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლები ლიბიაში, მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუშალა მათ ჩასვლას. რაც შეეხება თანხის ოდენობას, ამაზე ვერაფერს ვერ ვიტყვი, რადგან ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი გადახდილია, მეორე ნაწილის გადახდა უნდა მომხდარიყო, როდესაც შეიქმნა ტექნიკური პრობლემები. — განაცხადა საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გემთმფლობელი კომპანია იტალიურია და არა თურქული, როგორც იყო გავრცელებული.

— ჩვენი ინფორმაციით, ლიბიაში ოთხი ქართველი იმყოფება. ეს ინფორმაცია ჩვენი არხებით გვაქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს დახმარებისთვის არ მოუმართავთ. შესაბამისად, დახმარებას მათ უწევთ თურქული კომპანია, რომლის თანამშრომლებიც, ჩვენი ინფორმაციით, ისინი არიან. სავარაუდოდ ისინი უნდა დაბრუნდნენ საქართველოში თუ ხელი არ შეეშალა რეისის განხორციელებას გარკვეული მიზეზების გამო. ჩვენი ინფორმაციით, უსაფრთხოდ და ჯანმრთელად არიან. — განაცხადა გიორგი ტაბატაძემ.

ოთხი ქართველი, რომლებიც ლიბიაში იმყოფებიან, მათი ოჯახის წევრების ინფორმაციით, უსაფრთხოდ არიან, მათ სასტუმროს სამხედრო ქვედანაყოფები იცავენ.

როგორც ცნობილია, ისინი ერთ-ერთი თურქული კომპანიის დაკვეთით მუშაობენ ლიბიაში.

ლიბიასთან სატელეფონო და ინტერნეტ კავშირი გაწყვეტილია.

რაც შეეხება, არიან თუ არა კიდევ სხვა მოქალაქეები ლიბიაში, ამის შესახებ საქართევლოს დიპლომატიური უწყება ინფორმაციას არ ფლობს უკვე აღნიშნული მიზეზის გამო.

— რაც შეეხება სხვა მოქალაქეებს, მათზე ჩვენ ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ვიმეორებ, მათ ჩვენთვის არ მოუმართავთ. სამწუხაროდ, ჩვენ წარმომადგენლობა არ გვაქვს ლიბიაში, მაგრამ არც ერთ სხვა საელჩოში და არც საგარეო საქმეთა სამინიტროში ასეთი მომართვა დახმარების შესახებ არ შემოსულა. — ამბობს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი.

საგარეო უწყება საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, ვისაც ჰყავს ლიბიაში ოჯახის წევრები, ახლობლები საქართევლოს დიპლომატიურ უწყებას მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების შესახებ, რომლებიც ლიბიაში იმყოფებიან.

მსგავსი შეტყობინებები საქართევლოს საგარეო უწყებას გაუადვილებს ზუსტი ინფორმაციის დადგენას თუ რამდენი საქართევლოს მოქალაქე იმყოფება ცხელ წერტილში.

ლიბიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. გავრცელებული ინფორმაციით დაღუპულთა რიცხვი 800 ადამიანს აღწევს.

მსოფლიოს არაერთმა ლიდერმა უკვე მოუწოდა ლიბიის პრეზიდენტს, რომ გადადგეს და ლიბიაში განვითარებული სამოქალაქო ომი შეაჩეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არ არის გამორიცხული, რომ მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს.

# ვინ და რატომ ავრცელებს ჭორებს საპატრიარქოზე

თეა მარხვაი ე

**საქართველოს პატრიარქის ავტორიტეტი ძალიან ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს სერიოზულად უშლის ნერვებს. ალბათ, ამითაც არის განპირობებული, რომ პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ათასგვარი ჭორი ვრცელდება.**



ეს ჭორები საზოგადოებაში სერიოზულ და სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამ ჭორების გამო ჩვენში ძალიან ბევრჯერ გაიმართა ცხარე დისკუსიები. ამ ჭორებთან დაკავშირებით საპატრიარქოს არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. მისმა უწმინდესობამ კი მრევლს სთხოვა, არ აჰყვეს ამ ჭორებს და ყურადღება არ მიაქციოს.

რაღაცა პერიოდის განმავლობაში პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ მავნე ცნობების გავრცელებამ იკლო. თუმცა ამ ხელისუფლებაში მაინც მრავლად არიან ისეთები, რომლებსაც გამჩენი არ ასვენებთ და რაღაცეებს ხლაფორთობენ. ამ მხრივ არც ზოგიერთი ოპოზიციონერი იხევს უკან. როცა სჭირდებათ, პატრიარქთან გადაღებულ სურათებს აფრიალებენ. ეკლესიაში სანთლებსაც კამერების დასანახად თვალებდახრილები ანთებენ. თუმცა, როცა საქმე-საქმეზე მიდგება, საერთოდ არაფერს აკეთბენ ეკლესიის დასაცავად და ხანდახან მავნებლობაში ხელისუფლებასაც კი აჭარბებენ ხოლმე.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს პატრიარქი აფხაზეთში აპირებს ჩასვლას. ყველა იმედოვნებს, რომ ილია მეორის ვიზიტი საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოდ დასრულდება.

ამ ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებს ხელისუფლებაც. თუმცა, მის რიგებში ისეთებიც არიან, რომლებიც ენას ვერაფრით აჩერებენ და ათას რაღაცეებს ბოდიალობენ.

ზოგიერთი იმის გარკვევას ცდილობს, თუ რატომ და როგორ მიდის პატრიარქი აფხაზეთში. მავანი და მავანი ვარაუდობს, რომ ილია მეორის აფხაზეთში ჩასვლა რუსეთის პატრიარქის ინიციატივით ხდება.

ზოგიერთი მავნე ნაციონალი სერგეი ბაღაფშის დუმილსაც საეჭვოდ მიიჩნევს. პატრიარქმა ადრეც ბრძანა, რომ აფხაზეთში აპირებდა ჩასვლას, მაშინ, ერთ დროს ჩვენი ხელისუფლების ნაფერები ბაღაფში აღშფოთდა. აფხაზთა ლიდერმა განაცხადა, რომ პატრიარქი იქ ვერ ჩავიდოდა.

ახლა სერგეი ბაღაფში დუმს. არადა, ყველასთვის ცნობილია, რომ ილია მეორე იქ ჩავა. ნაციონალებს ეს ძალიან საეჭვოდ ეჩვენებათ. საინტერესოა, საეჭვოდ რატომ არ ეჩვენებათ მათ ბევრი სხვა გარემოებები. მაგალითად, რატომ არავინ არაფერს არ ამბობს, რომ მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები საქართველოში რუსეთის დუმის დეპუტატებს აქვთ ნაყიდი. თუმცა ეს სხვა თემაა და არ ღირს თემიდან გადახვევა.

რაც შეეხება ჩვენს პატრიარქს, ის ყოველთვის მიდიოდა იქ, სადაც საჭირო იყო. ასე იყო 1989 წლის 9 აპრილს. ასე იყო აგვისტოს ომის შემდეგაც.

იქნებ აღარავის ახსოვს საქართველოში ეს ომი, ან მართლა გჯერათ, რომ იმ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ.

ვისაც ის სიმწარე აღარ ახსოვს, შევახსენებთ, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო ჩვენი მიცვალებულები იქ დაგვრჩა. იმ დროს, როცა ჩვენი ბიჭების ცხედრები უპატრონოდ ეყარა, თბილისში კონცერტი გამართეს. 12 აგვისტოს გამართულ კონცერტზე გეუბნებით. იმ კონცერტზე, სადაც საქართველო გამარჯვებას ზეიმობდა და „სარკოზ, სარკოზს" იძახდა.

იმ კონცერტის ინიციატორებს და მონაწილეებს არავის გახსენებია, რომ მიცვალებულთა ცხედრების გამოსვენება იყო საჭირო. უფრო სწორად, არავის გაურისკავს რუსების მიერ ოკუპირებულ მიწაზე მიტოვებული ქართველი ბიჭების გადმოსვენება.

ეს ინიციატივა მაშინ თავის თავზე საპატრიარქომ და პატრიარქმა აიღო. პატრიარქი მაშინ პირადად ჩავიდა კონფლიქტის ზონაში. ეს ფაქტი რატომღაც ყველას დაავიწყდა და ახლა მავანი კითხულობს, რატომ მიდის პატრიარქი აფხაზეთში.

იმედი ვიქონიოთ, რომ პატრიარქის ვიზიტი საქართველოს ამ კუთხეში მართლაც წარმატებული იქნება.

საპატრიარქოს გარშემო, როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, ათასი ჭორი ვრცელდება. ხელისუფლებასა და ოპოზიციაში მყოფი მავნებლების გარდა, ჭორებს სხვადასხვა სექტებიც ავრცელებენ.

სექტები, რომელთა დასაცავად მთელი ჩვენი ხელისუფლება ხმალამოღებული იბრძვის. ეს ასეც უნდა იყოს. რელიგიური ნიშნით არავის დევნა არ შეიძლება. ამის უფლება არავის არა აქვს, მაგრამ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ხელისუფლება მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა იცავდეს.

ამ დღეებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თითქოს თბილისში ტამპლიერთა ორდენი საპატრიარქოს ხელდასმით დაფუძნდა. ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა. ბოლოს საპატრიარქომ ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა.

— როგორც ცნობილია, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II ინგლისში ყოფნის პერიოდში თბილისში დაფუძნდა ტამპლიერთა ორდენი, რომელსაც ფართო რეკლამა გაუწია მასმედიამ. გავრცელდა აზრი იმის შესახებაც, თითქოს ეს ორგანიზაცია პატრიარქის ლოცვაკურთხევით შეიქმნა და ამის დასამტკიცებლად გარკვეული კადრებიც იყო გამოყენებული. გვინდა განვაცხადოთ, რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენის დაარსება კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით არ მომხდარა. ეს არის დეზინფორმაცია და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა. საერთოდ, როგორც ტამპლიერთა, ისე სხვა ორდენები მართლმადიდებლური სამყაროსათვის, მისი ტრადიციისა და კანონიკისათვის უცხოა და მიუღებელი. ისინი თავის დროზე კათოლიკურ სამყაროში რომის პაპის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ტამპლიერთა ორდენი XIV საუკუნის დასაწყისში პაპის მიერვე ანათემას გადაეცა და აიკრძალა. ამ დროიდან მოყოლებული ევროპის ეკლესიებს ამ ორდენთან არანაირი იერარქიულსტრუქტურული ურთიერთობა არა აქვთ, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საპატრიარქო ტამპლიერთა ორდენს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაშიც სდებს ბრალს.

— საქართველოში რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია არსებობს, რომელთაც მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი არა აქვთ. მათ რიცხვს მიემატა სწორედ ტამპლიერთა ორდენიც, რომლის წარმომადგენლებიც ცრუ ინფორმაციით ცდილობენ ხალხის მოტყუებას და თავის წევრთა რიცხვის ამ გზით გაზრდას, — მიაჩნიათ საპატრიარქოში.

# სოხუმი თბილისს ილორის ტაძრით დაინტერესებას უკრძალავს

ქართული მხარე ოჩამჩირის რაიონში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადარჩენას მოითხოვს, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ შოთა უტიაშვილის განცხადებაზე დაყრდნობით.

წყაროს ცნობით, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების საკითხზე გალში 22 თებერვალს გამართული მორიგი შეხვდრისას ქართულმა დელეგაციამ შოთა უტიაშვილის ხელმძღვანელობით სწორედ ეს საკითხი დასვა.

ლაპარაკია ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარზე, რომლის აღდგენის თხოვნით ქართულმა მხარემ საერთაშორისო საზოგადოებას 2010 წლის 4 დეკემბერს მიმართა.

— ქართული მხარის მტკიცებით, ტაძრის კედლები შეათეთრეს, სახურავზე კი ქართული ეკლესიებისათვის არადამახასიათებელი გუმბათი დადგეს. ამის შედეგად ტაძარმა თავისი პირვანდელი სახე



დაკარგა, — წერს „აპსნიპრესი".

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის სპეციალურმა წარმომადგენელმა გალის მოლაპარაკებებში ვიაჩესლავ ჩირიკბამ აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს უფლება არ აქვს, აფხაზეთში ეკლესიებთან დაკავშირებულ სიტუაციაზე საკითხი დასვას.

— იმაში დარწმუნება, რომ ქართული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ჰანს იორგ ჰაბერს შეეძლო, რომელიც აფხაზეთში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა და ილორის წმინდა გიორგის ტაძარი მოინახულა. ამაში დარწმუნება გაეროს სპეციალურ წარმომადგენელ ანტი ტურუნენსაც შეეძლო, — აღნიშნა ვიაჩესლავ ჩირიკბამ.

წყაროს ცნობით, 18 თებერვალს აფხაზეთს ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელიც სტუმრობდა, რომელმაც ეს ეკლესია დაათვალიერა.

**მედიანიუსი**

# წვევამდელთა ასაკი 20 წლამდე უნდა გაიზარდოს

ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება" სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის ინციატივით გამოდის.

ასოციაციის ინიციატივით აღნიშნულ კანონში უნდა განხორციელდეს ცვლილება და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევი პირების ასაკის ქვედა ზღვარი 18-დან 20 წლამდე უნდა გაიზარდოს.

— მიგვაჩნია, რომ იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდები სკოლას ამთავრებენ 18 წლის ასაკში და მაშინვე ხდებიან სამხედრო ვალდებულნი, ეწინააღმდეგება მათ განათლების უფლებას. არასწორია 18 ან 19 წლის აბიტურიენტის სამხედრო სამსახურში გაწვევა, როდესაც ის ემზადება უმაღლესი განათლების მისაღებად. ერთწლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ, ფაქტობრივად მას ხელახლა მოუწევს მოემზადოს იმ ძირითად საგნებში, რომელთა ჩაბარებაც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად. სამართლიანი იქნება, არ შევზღუდოთ ახალგაზრდების განათლების უფლება და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა ასაკის ქვედა ზღვარი 18-დან გავზარდოთ 20 წლამდე, — ნათქვამია ასოციაციის განცხადებაში.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ხვალ ასოციაცია სამართალი და თავისუფლების ოფისში პრესკონფერენცია გაიმართება.

**მედიანიუსი**

# საქართველომ ისრაელისადმი ინტერესი დაკარგა

**საქართველო-ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი ისრაელში ადვოკატი მოშე საპირი განცხადებებს აკეთებს ებრაელი ინვესტორებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. არაერთი ებრაელი ბიზნესმენის ადვოკატი აცხადებს, რომ ისრაელის საელჩოს ფუნქციონირების შეჩერებაც ალბათ სწორედ დაპატიმრებული ებრაელი ბიზნესმენების საკითხს უკავშირდება.**

**რა პოლიტიკა აირჩია სააკაშვილის ხელისუფლებამ ისრაელის ინვესტორებთან მიმართებაში და რომელი ქვეყნის ინვესტორებს მფარველობს ხელისუფლება? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ადვოკატ მოშე საპირთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო მოშე, საქართველოში საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ისრაელის საელჩოს მხრიდან დროებით ფუნქციონირების შეჩერება ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებას უკავშირდება. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— მოდით, ამ კითხვას ორ ნაწილად დავყოფ. პირველ რიგში, იმას ვიტყოდი, რომ კვამლი არ არის ცეცხლის გარეშე. ალბათ ხვდებით რასაც ვგულისხმობ. ეს ერთი. მეორე, რაც შეეხება უშუალოდ იმას, თუ რა მოსაზრებები ვრცელდება ისრაელში აღნიშნულთან დაკავშირებით. ამან გამოიწვია ძალიან მძიმე დაძაბულობა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თვით ბიზნესმენებში. ამ ფაქტით ბიზნესმენები ძალიან დაშინდნენ. მით უფრო, რომ ქართული მხარის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება არ არის დამაჯერებელი, თუ კონკრეტულად რა მოხდა. ყველას აქვს წარმოდგენა, რომ ყველაფერი კეთდება მხოლოდ იმისთვის, რომ ქართულმა მხარემ დაკისრებული ვალი არ აანაზღაუროს. ანუ ისეთი შთაბეჭდილება არის ებრაელ ხალხში, რომ სახელმწიფო ყველაფერზე მიდის, რათა დაკისრებული ვალი არ აუნაზღაუროს. მოგახსენებთ, რომ ისრაელიდან ერთადერთი უფლება მოსილი ადამიანი ვარ საქართველოში, რომ საადვოკატო საქმიანობა ვაწარმოო, შესაბამისად, ბიზნესმენების 90% და მეტიც კიდევ, კონსულტაციებისთვის ჩემთან მოდიან; უშუალოდ ან თვითონ მოდიან, ან კიდევ მიკავშირდებიან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით. იქედან გამომდინარე, რომ ისრაელში საერთოდ მიღებულია, ნებისმიერ მოქალაქეს ჰყავდეს პირადი ადვოკატი.

***— ბატონო მოშე, ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ უცხოელი ინვესტორების დიდი დაინტერესებაა საქართველოს მიმართ და რომ ჩვენი ბიზნესგარემო ინვესტორებისთვის მიმზიდველია.***

— იცით, რა ხდება, ყველაფერი საგადასახადო კანონმდებლობაზე არ არის დამოკიდებული და არც ხელისუფლებაზე. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ქვეყანა მართოს, მას აუცილებლად სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა და საზოგადოებისგან ხელის შეწყობა და არა ხელის შეშლა. საზოგადოება ამ ყველაფერს ხვდება, მაგრამ შეგნებულად ცდილობს ხელისუფლებას ხელი შეუშალოს უაზრო მოთხოვნებით.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით დაინტერესება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. თუნდაც ხელისუფლებას და თუნდაც ნებისმიერ რიგით მოქალაქეს, მაგრამ ამასთანავე ხალხში შიში გაცილებით იმაზე მეტია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რაც მოხდა ამ ორ ებრაელ ბიზნესმენთან დაკავშირებით. ვინაიდან კონკრეტული სიმართლე ვერავინ გაიგო, მაგრამ მთავარი ეგ არ არის.

***— ითქვა, თითქოს სახელმწიფო რეკეტის დონეზე იყო დამოკიდებულება ამ სამი ბიზნესმენის მიმართ, რომელთაც ფინანსთა სამინისტროსთან ჰქონდათ პრობლემები.***

— რეკეტი არის ძალიან უხეში სიტყვა და უხეში გაგება. ამ ფაქტს ვერ უწოდებ რეკეტს. ამიტომ ვთქვი წინასწარ, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. ალბათ ამ ბიზნესმენებმაც რაღაც დააშავეს, სხვანაირად არ არსებობს რომ მათ ვინმე შეხებოდათ.შესაბამისად, სახელმწიფომაც იმოქმედა თავისი კანონმდებლობის ფარგლებში, მაგრამ ჩემი აზრით, ისეთი არაფერი მომხდარა, რამდენადაც გაამწვავეს ყველაფერი, თუნდაც ამათ ჩაედინათ დანაშაული. ვფიქრობ, ცოტა გვერდზე გახედვით შესაძლებელი იყო უფრო რბილი ხელთათმანებით ჩაჭიდება და არა ეგრევე ბრალმდებლის ხელთათმანებით ჩაჭიდება, რამაც გამოიწვია ძალიან მძიმე დამოკიდებულება ბიზნესსაზოგადოებაში.

***— ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ თავი შეიკავონ ისრაელის მოქალაქეებმა საქართველოში ჩამოსვლაზე, ესეც გარკვეულწილად ებრაელ ბიზნესმენებთან მიმართებაში არსებულ ვითარებას უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა. 90%-ით ყველაფერი ამას უკავშირდება. ამ დღეებში იყო საუბარი. ისრაელში ხშირად ტარდება „ქართული საზოგადოების“ მხრიდან გარკვეული ღონისძიებები. სწორედ იქ იყო ამ თემაზე საუბარი. ხალხში ასეთი შთაბეჭდილებაა, რომ საქართველომ ისრაელის მოქალაქეების მიმართ, ანუ ასე ვთქვათ, ისრაელის სახელმწიფოს მიმართ, გარკვეულწილად ინტერესი დაკარგა. აქედან გამომდინარე, ალბათ თავს იკავებენ იმისგან, რომ პირდაპირ უთხრან, თქვენდამი აღარ გვაქვს აღარანაირი ინტერესი და სხვა მხრივ უდგებიან. ალბათ ამით უნდათ ჩამოიშორინ ისრაელის მოქალაქეები.

***— რაზე მიანიშნებთ, ქართული მხრიდან არის ებრაელი საზოგადოების იგნორირების პოლიტიკა დაწყებული?***

— არ ვიცი, ხალხი ფიქრობს, რომ საქართველომ ისრაელისადმი ინტერესი დაკარგა.

***— ექსპერტების და ოპოზიციის ნაწილი მიანიშნებს, რომ არსებული რეჟიმის პირობებში საქართველოდან უცხოური კაპიტალი გაედინება. ეს ებრაულ კაპიტალსაც ეხება? საფრთხე ექმნება ებრაულ ინვესტიციებს საქართველოში?***

— საქართველოში ებრაულ ინვესტიციებს საფრთხე უკვე დიდი ხანია შექმნილი აქვს. ძალიან დიდი ხანია. ამაზე საქართველოს ხელისუფლება სხვა ქვეყნების ინვესტორებთან შედარებით ძალიან ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას.

***— სხვა ქვეყნების ინვესტორებს, ასე ვთქვათ, უფრო ეფერება საქართველოს ხელისუფლება?***

— ყოველ შემთხვევაში, ასე იგრძნობა.

***— კონკრეტულად, რა პრობლემების წინაშე დადგნენ ებრაელი ბიზნესმენები?***

— აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტებზე, რომ ოთხი ათეული წლების წინ, როდესაც ებრაელობამ საქართველოს დატოვება დაიწყო, ისიც კომუნისტების წყალობით, მაშინვე დაიწყო საქართველოს სისუსტე. ხოლო როდესაც ებრაელებმა ორი ათეული წლის წინ ისევ დაიწყენ საქართველოში აქტიურობა, საქართველომ და ქართველებმა შესაბამისად დაიწყენ გამაგრებაც. ებრაელებს საქართველოში აქტიურობა არ დაუწყვიათ მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთი საშემოსავლო წყარო გასჩენოდათ, არამედ ქართველი ებრაელები იყვნენ, არიან და იქნებიან საქართველოს გულშემატკივრები და ურყევი პატრიოტები. ამიტომაც არ შეიძლება მათ მიენიჭოთ მეორე ხარისხი.

***— დღეის მდგომარეობით ებრაელი ბიზნესმენები დგანან რეალური პრობლემების წინაშე.***

— ებრაელმა ინვესტორებმა ტრადიციულად ნდობა გამოხატეს ქართველი საზოგადოების მიმართ. იმიტომ, ვინც არ არის საქართველოში დაბადებული და ვინც არ იცოდა, რა არის საქართველო და ქართველი საზოგადოება, მათ შეისწავლეს ისრაელში საქართველოდან ჩამოსულებისგან ანუ რეპატრიარტებისგან. ისრაელის საზოგადოება უდიდეს პატივს სცემს საქართველოს და ქართველ საზოგადოებას. როდესაც ისრაელში ქართველები ჩამოვიდნენ, ქართველ ხალხს დიდი პატივი დავდეთ და მათ მიმართ უდიდესი ნდობა გამოვხატეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დიდი ნდობა დიდი შეცდომა აღმოჩნდა. პირადად ვარ მოწმე იმ ფაქტებისა, რომ საქართველოში არაერთმა ბიზნესმენმა ჭიქა ღვინოში 100 ათასი დოლარიც კი გადაიხადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ღვინო მსოფლიოშია აღიარებული და მას ჩემი გაგებით ანალოგი არ აქვს, 100 ათასი დოლარი ჭიქა ღვინოში მაინც მიუღებელია. ალბათ გამგებიც გაიგებს, რასაც ვგულისხმობ.

***— ანუ იმაზე მიანიშნებთ, რომ ებრაელი ბიზნესმენების მიმართ საქართველოში გაკოტრების პოლიტიკა ამუშავდა?***

— არა ხელისუფლების მხრიდან, არამედ უშუალოდ საზოგადოების მხრიდან. როდესაც საქმე მივიდა განსახილველად სამართალდამცავებამდე, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები ყურადღება მიექცა ებრაელი ბიზნესმენების პრობლემებს, ვიდრე სხვა ქვეყნების ბიზნესმენების პრობლემებს. პირიქით ხდება.

***— როგორც ადვოკატი, რა პრობლემებს გამოყოფდით ამ სფეროში?***

— ადვოკატთა პრობლემები არის ძალიან მძიმე. პრობლემებია როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე დამოკიდებულების კუთხით თვითონ ადვოკატებისადმი. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პროფესია ადვოკატი ნებისმიერ ქვეყანაში არ არის პერსონალური წოდება, არამედ ეს არის ქვეყნის ჰიმნი, მე ასე მიმაჩნია. საქართველოში კი ადვოკატებს სათანადოდ არ სცემენ პატივს. 20 წლიანი საადვოკატო პრაქტიკის პირობებში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მომიწია საქმიანობა. არსად შევხვედრივად ისეთ მოვლენებს, რაც საქართველოში ხდება. ადვოკატი საქართველოში ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია შანტაჟით, მუქარით, ფიზიკური შეხებით. არ შეიძლება ადვოკატი ასე ხელმისაწვდომი იყოს. ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ დაიცვას ადვოკატების ინტერესები. ადვოკატს თავისი ღირსება უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული, მაგრამ როცა ქართველი ადვოკატი ქვეყნის გარეთ გადის, ყველამ იცის, რომ მას თავის ქვეყანაში პატივს არ სცემენ.

## საქართველოს მსო-სთან შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნას

გარემოს დამცველების მოსაზრებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად, შესაძლოა, საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან სერიოზული პრობლემები შეექმნას.

როგორც ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელმა, ირაკლი მაჭარაშვილმა განმარტა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ქვეყნის ბაზელის კონვეციასთან მიერთება, რომელიც სახიფათო ნარჩენებს ეხება და სიტესის კონვენციის შესრულება, რომელიც გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობას უკავშირდება.

მისი თქმით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ პროექტში არ არის ჩამოყალიბებული თუ რომელმა უწყებამ უნდა განახორციელოს ამ კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულება და ვისი პასუხისმგებლობა იქნება მათი რეგულაცია.

— ამ ორი კონვენციის შესრულება იყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლის წინაპირობა და მათი შეუსრულებლობისას კითხვის ქვეშ დადგება დარჩება თუ არა საქართველოს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი, — დასძინა მაჭარაშვილმა და არ გამორიცხა, რომ სამინისტროს გაუაზრებელმა რეორგანიზაციამ, საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გამოძევება განაპირობოს.

**მედიანიუსი**

## ენერგოვაუჩერი კოლექტიური მრიცხველების მქონე აბონენტებსაც დაურიგდებათ



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ენერგოვაუჩერი იმ აბონენტებსაც დაურიგდებათ, რომლებიც კოლექტიური მრიცხველებით სარგებლობენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ენერგოკომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა და ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე ისმჯელეს.

პრობლემების აღმოსაფხვრელად სპეციალური ცხელი ხაზი 94 49 11 შეიქმნა, რომელსაც დღეს, შრომის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე პირადად პასუხობდა.

— დამატებითი სიები და ვაუჩერები გადაეცემათ იმ აბონენტებსაც, რომლებმაც ბოლო 6 თვის განმავლობაში 200 კვტ. საათზე ნაკლები ელექტროენერგია მოიხმარეს. სიის დაზუსტების შემდეგ, ვაუჩერს მიიღებენ ის აბონენტებიც, რომლებსაც შესაძლოა ელექტროენერგია ჩაჭრილი ჰქონდათ, ან სიდუხჭირის გამო ნაკლებ დენს მოიხმარდნენ. ეს აბონენტები ვაუჩერს მიიღებენ იმ ვადაში, რა ვადაც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე ურუშაძემ.

მთავრობის განკარგულებით ვაუჩერების დარიგების პროცესი 15 მარტს უნდა დასრულდეს.

**მედიანიუსი**

## სიმინდის სათესლე მასალის გაცემა 1 მარტიდან დაიწყება

სოფლის მეურნეობის კორპორაციის მიერ სიმინდის წარმოების ხელშეწყობის ფარგლებში, სათესლე მასალის გაცემა 2011 წლის 1 მარტიდან დაიწყება, — აცნობეს „მედიანიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

როგორც ამ უწყებაში განმარტავენ, სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია საქართველოში სიმინდის მოსავლიანობისა და წარმოებული სიმინდის ხარისხის ამაღლება. პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის კორპორაცია და მის ფარგლებში გათვალისწინებულია ჰიბრიდული ტიპის სიმინდის სათესლე მასალით ფერმერთა უზრუნველყოფა. შემოთავაზებული სათესლე მასალა შემდეგი მახასიათებლების მატარებელია: სათელსე მასალა გამოირჩევა უხვი და სტაბილური მოსავლიანობით, მაღალი რეზისტენტულობით დაავადებათა ფართო სპექტრის მიმართ და მაღალი გვალვაგამძლეობით. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია, სიმინდის თესლის 4 სახეობა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ზიონეერ დღეისათვის სიმინდის სათესლე მასალის მსოფლიო ბაზრის 30 პროცენტს ფლობს და შესაბამისად ამ სექტორში ლიდერია. ამჟამად სიმინდის თესლის პირველი ნაწილი უკვე საქართველოშია. სიმინდის სათესლე მასალა დასაწყობებული იქნება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. თესლის გაცემა დაიწყება პირველი მარტიდან.

თესლის მისაღებად, აუცილებელია პროგრამაში დარეგისტრირება. დასარეგისტრირებლად, მსურველმა უნდა დარეკოს პროექტის ცხელ ხაზზე (ტელ. X995 32 605 105), მიაკითხოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს (გამგეობას), ან დარეგისტრირდეს ვებ-გვერდის მეშვეობით.

დარეგისტრირების შემდეგ, თითოეული მსურველი მიიღებს დეტალურ ინფორმაციას პროექტის პირობებისა და სიახლეების შესახებ.ერთ ჰექტარზე მეტი ფართობისთვის სათესლე მასალის გაცემისას, აუცილებელია სადაზღვევო ან საბანკო საგარანტიო წერილის წარმოდგენა. საგარანტიო წერილის მიღება შეიძლება ნებისმიერ ბანკსა და წამყვან სადაზღვევო კომპანიებში.

სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში დღევანდელი მონაცემებით დარეგისტრირებულია 15500 - ზე მეტი ადამიანი, რაც 20 000 ჰექტრამდე ფართობს მოიცავს. რეგისტრაციის პროცესი გაგრძელდება აგროვადების დაცვით.

**მედიანიუსი**

## საქართველოში საგზაო მოძრაობის წესები მკაცრდება

**საქართველოში ქუჩაში მოძრაობის წესები მკაცრდება არა მარტო მძღოლებისათვის, არამედ ფეხით მოსიარულეთათვისაც.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ფეხით მოსიარულე, რომელიც ქუჩაში გადაადგილების წესებს დაარღვევს, 3 ლარით დაჯარიმდება.

იმ შემთხვევაში, თუ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა ტვირთის, საგზაო მონაკვეთის, ნებისმიერი სახის მშენებლობის ან ადამიანის სხეულის თუნდაც მსუბუქად დაზიანებას გამოიწვევს, წესების დამრღვევს 100 ლარიანი ჯარიმა დაეკისრება. ადრე მსგავს დარღვევაზე ჯარიმა მხოლოდ 30 ლარს შეადგენდა.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე საგზაო მოძრაობის წესებს ხელმეორედ დაარღვევს და გზას აკრძალულ ადგილზე გადაკვეთს, პატრული ვალდებულია იგი საპატრულო პოლიციაში გადაიყვანოს. პოლიციის განყოფილებაში მოქალაქეს სპეციალურ დოკუმენტურ ფილმს უჩვენებენ, სადაც კარგად ჩანს, თუ რა საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულე საკუთარ თავს და გარშემომყოფებს საგზაო წესების დარღვევისას.

**მედიანიუსი**

# ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები არ უნდა იღუპებოდნენ

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია ავღანეთში ქართველი სამხედრო კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და მას ცინიკურს უწოდებს.

ოპოზიციურ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ის, რაც ავღანეთში ხდება, ქართველების ომი არ არის და იქ ქართველი ჯარისკაცები არ უნდა იღუპებოდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ პრესკონფერენცია გამართა და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მიუწოდა, უარი თქვას თავის გადაწყვეტილებაზე, ანუ ქართველების სხვის ომში დაღუპვაზე.

— ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით ცინიკურად გამოიყურებოდა იმ დღეს, როდესაც ავღანეთში ქართველი კაპრალის გიორგი ავალიანისა და ორი ჯარისკაცის დაჭრის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მიხეილ სააკაშვილს ავღანეთიდან ქართული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს და დაუყოვნებლივ შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია. იმ დროს, როდესაც საქართველო სახელმწიფოებრივად და



ტერიტორიულად დაშლილია, ხელისუფლება კი ბოლო დროს გარე საფრთხეებზე და რისკებზე, მათ შორის მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებზე საუბრობს, საქართველოს მხრიდან ასეთი კონტრიბუცია და მზარდი სამხედრო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაყვანა უპასუხისმგებლო და გაუმართლებელი ქმედებაა. ეს ემსახურება ერთადერთ პოლიტიკურ მიზანს ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიცოცხლის ფასად სააკაშვილის ხელისუფლებამ უფრო გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ბოლო დროს ავღანეთთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციები ცხადყოფს, რომ თალიბების მხრიდან მოქმედებების გამძაფრებაა მოსალოდნელი, რაც მსხვერპლის რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის.

— საქართველოსთვის გაუმართლებელ მსხვერპლზე მთელი პასუხიმგებლობა ეკისრება პრეზიდენტს და ერთპარტიულ პარლამენტს. არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ — ეს ჩვენი ომი არ არის და ქართველებს ამ ომში არაფერი ესაქმებათ, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ და გიორგი ავალიანის ოჯახს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

# რა უთხრა ოპოზიციამ ჟან ლუი ლორანს?

ნანა მიშელაშვილი

**რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ქვეყანაში არსებულ საარჩევნო გარემოზე ესაუბრა საპარლამენტო უმცირესობა გუშინ ევროპის საბჭოს დემოკრატიულ და პოლიტიკურ საკითხთა დირექტორს ჟან ლუი ლორანს.**

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ, უმცირესობის წევრმა გურამ ჩახვაძემ განაცხადა, რომ 2 ძირითად საკითხზე გაიმართა საუბარი: ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ქვეყანაში არსებულ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კოდექსზე.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საბჭო არა მარტო რეზოლუციებს იღებს, არამედ, მისი მონიტორინგი ხდება, — განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის განმარტებით, ევროპის საბჭო და ვენეციის კომისია მუდმივ კონტაქტში იქნება და მონიტორინგი ექნება საქართველოზე, რათა ეს პროცესი, რომელიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მიმდინარეობს, მათი ყურადღების ცენტრში იყოს.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესს არ მოაკლდეს საერთაშორისო დამკვირვებლების, საერთაშორისო ორგანიზაციების ზედამხედველობა, რათა ჩვენ დემოკრატიული, სამართლიანი საარჩევნო კოდექსი მივიღოთ, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

რაც შეეხება უმცირესობის ლიდერს, გიორგი თარგამაძე განმარტავს, რომ ჟან ლუი ლორანთან საუბარი ჰქონდათ პოლიტიკურ, დემოკრატიული ტრანსფორმაციის საკითხებზე,

— საქართველოს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების სისტემის ნაწილად ქცევა და ჩვენი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან. ამის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში ერთხელ მაინც არ ჩატარდა სამართლიანი არჩევნები და არ შეიქმნა წინაპირობა ხელისუფლების კონსტიტუციური, სამართლებრივი გზით ცვლილების. ამას სჭირდება მუშაობა, ამაში ევროპული სტრუქტურების ჩართვა გვჭირდება დღეს და არა პროცესის ბოლოს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი თარგამაძემ.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, უმცირესობის ლიდერმა განმარტა, რომ ევროპის საბჭო ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის დიალოგს, სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოებას.

— ჩვენი სურვილია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო ორგანიზაციებს ჰქონდეს შესვლის საშუალება, რაც იქ შემორჩენილი ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების ხარისხს ოდნავ მაინც აამაღლებს. ამავე დროს, არის მთელი რიგი საგანმანათლებლო, სოციალური საკითხები, რა კუთხითაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე უმძიმესი სიტუაციაა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოსწორება ქართული სახელმწიფოს ჰუმანური მოვალეობაა, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.



უმცირესობის ლიდერი იქვე ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი აქტიურობა მიმართული უნდა იყოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც ჰქვია ხალხების დაახლოება და არა ერთმანეთისგან იზოლაცია. თარგამაძემ ასეთი მაგალითი მოიყვანა: თუკი რომელიმე ორგანიზაცია გალში გადაწყვეტს, ააშენოს ან შეაკეთოს სკოლა, ეს მისასალმებელია, მაგრამ მათ როგორც მინიმუმ, იმის პირობა მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ ამ სკოლაში ბავშვები ქართულად რაიმეს ისწავლიან.

— თუკი ამ პირობასაც ვერ მივიღებთ აფხაზური მთავრობისგან, მაშინ გამოდის, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადადგმული ნაბიჯი გარანტიების გარეშე, ეს ირიბი თანხმობა და ლეგალიზებაა ეთნიკური წმენდის, რის წინააღმდეგებიც ჩვენ ვიქნებით, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

რაც შეეხება ევროპის საბჭოს მიერ რუსეთთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციებს, უმცირესობის ლიდერი ამბობს, რომ ევროპის საბჭომ სამი ძალიან მნიშვნელოვანი და მწვავე რეზოლუცია მიიღო. გიორგი თარგამაძის განცხადებით, რუსეთი არც ერთი რეზოლუციის პუნქტს არ ასრულებს.

— დღეს ევროპის საბჭო დილემის წინაშე დგას, ან ირიბად მაინც უნდა შეეგუოს ამ სიტუაციას, რუსეთის მხრიდან სრულ იგნორირებას ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების, ან უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რაც გულისხმობს რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების შეჩერებას ან გარიცხვას, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერს ამჟამად ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია, რომ საერთაშორისო ან ევროპულმა კონიუნქტურამ ასეთი გამბედაობა გამოავლინოს რუსეთის მიმართ. თარგამაძე მიიჩნევს, რომ საქართველომ ძალიან პრინციპული და თანმიმდევრული პოზიცია უნდა გამოავლინოს, რათა ჯოხი ისე არ გადავხაროთ, რომ გადატყდეს.

— ევროპის საბჭოს სამი რეზოლუცია უახლოესი მომავლისა და გრძელვადიანი პერიოდის ჭრილში ისტორიული მნიშვნელობის არის. სამივე მათგანში, ევროპის საბჭო არათუ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ პირდაპირი მოწოდებით გამოდის, რათა დეოკუპაცია მოხდეს, რათა აღმოიფხვრას ეთნიკური წმენდის შედეგები და უკან გაიხმოს ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარება, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერი მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ის სამართლებრივი ბაზა, რომელიც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული სამი რეზოლუციის სახით არსებობს.

# აფხაზები ციხიდან განთავისუფლებული დათო შენგელიას „გადაცემას“ მოითხოვენ

**გრძელდება უშედეგო მოლაპარაკებები აფხაზ სეპარატისტებთან. ბაღაფშის მარიონეტული ხელისუფლება ქართულ მხარეს იმის უფლებასაც კი არ აძლევს, რომ ილორის ეკლესია დაათვალიეროს. პირიქით, რუსი მფარველების წაქეზებით, მოლაპარაკებებზე აფხაზები კონტრმოთხოვნებს აყენებენ.**

გერა მამულაშვილი

გალის 25-ე ხუთმხრივ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ ქართველი პარტიზანების ყოფილი მეთაურის, დათო შენგელიას გადაცემის საკითხი დააყენა. მარიონეტებმა „შეშფოთება გამოხატეს“ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ციხიდან „ტყის ძმების“ ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი გაათავისუფლეს.

— ჩვენ აფხაზეთის მოქალაქეების წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობებში შენგელიას მონაწილეობის შესახებ დოკუმენტურად დადასტურებულ ფაქტებს ვფლობთ. ამის გათვალისწინებით, აფხაზურმა მხარემ საქართველოს წარმომადგენლებს მისი გადაცემის მოთხოვნით მიმართა. შენგელიამ მისთვის მისჯილი ოცდაოთხი წლიდან, ციხეში შვიდი წელი გაატარა და ქართული მხარის თქმით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ციხიდან განთავისუფლდა, — აღნიშნეს აფხაზეთის „საგარეო სამინისტროში“.

ამ უწყების წარმომადგენლების განცხადებით, „შეშფოთებას იწვევს ის ცნობები, რომ გახშირდა დათო შენგელიას ქართულ-აფხაზური საზღვრის სიახლოვეს გამოჩენა“. აფხაზეთის წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ ამ საკითხს შემდეგ ხუთმხრივ შეხვედრებზე წამოაყენებენ.

შეგახსენებთ, რომ სოხუმი დათო შენგელიას რაზმის მონაწილეებს „აფხაზეთის მოქალაქეების გატაცებებში და მკვლელობებში“ ადანაშაულებდა. თავად შენგელია კი ელექტრომატარებელ „სოჭი-სოხუმის“ აფეთქებით იმუქრებოდა.

ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ „თეთრი ლეგიონი“ დაშალეს; 2004 წლის 11 თებერვალს შენგელიამ თავისი მომხრეების მიერ იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებაზე განცხადება გააკეთა, ხოლო ფორმირების ყოფილ ბაზაზე, სამეგრელოში და ზემო სვანეთში საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერაციების ძალების რეგიონული ცენტრი გაიხსნა.

გალის შეხვედრაზე ასევე „ქართული სპეცსამსახურების მიერ აფხაზეთის მოქალაქეების დაკავების“ საკითხი წამოიჭრა. კერძოდ, საუბარი ეხებოდა 15 თებერვალს გალის რაიონის მცხოვრებლის, მერაბ ყოლბაიას დაკავებას, რომელსაც ქართული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების ორგანიზებასა და ჩატარებაში ადანაშაულებს.

— აფხაზურმა მხარემ მოქალაქე მერაბ ყოლბაიას გადაცემა მოითხოვა და განაცხადა, რომ საქართველოს მსგავს დივერსიულ მოქმედებებს სიტუაციის დესტაბილიზაციამდე მივყავართ და ეს მხარეთა კონსტრუქციულ დიალოგს ხელს არ უწყობს, — განუცხადეს „კავკაზსკი უზელს“ რესპუბლიკის საგარეო სამინისტროში, რომლის წარმომადგენლებიც ხუთმხრივ შეხვედრებში მუდმივი მონაწილეები არიან.

საქართველოს შსს-ს სინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის და გალის შეხვედრებზე ქართული მხარის მუდმივი წარმომადგენლის, შოთა უტიაშვილის აზრით, ყოლბაიას გადაცემის მოთხოვნა სრულიად აბსურდულ ხასიათს ატარებს.

— რა თქმა უნდა, ყოლბაიას დაბრუნებას ჩვენ არ ვაპირებთ. პირიქით, ჩვენ ამ საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანას ვაპირებთ, სადაც არ უნდა მიგვიყვანოს მან, — ამბობს შოთა უტიაშვილი.

საქართველოს შსს-ს მონაცემებით, მერაბ ყოლბაია ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელია ტერაქტებისა, რომლებიც რუსული სპეცსამსახურების დავალებით განხორციელდა. კერძოდ, მას ადანაშაულებენ იმ აფეთქებაში მონაწილეობაში, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ოფისის სიახლოვეს, 2010 წლის 28 ნოემბერს განხორციელდა, რომლის შედეგადაც 58 წლის ქალი დაიღუპა; ასევე მას მუხიანში განხორციელებულ აფეთქებაშიც ბრალს სდებენ.

გალის შეხვედრაზე 2009-2010 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ათეულზე მეტი ტერაქტების ორგანიზებასა და შესრულებაში ბრალდებულების, ევგენი ბორისოვის და მურმან ცხადაიას გადმოცემის საკითხიც განიხილეს.

— ამ ტერაქტების გამოძიებისას ვინც ჩვენ უკვე დავაპატიმრეთ და აღიარეს საკუთარი დანაშაული, დაასახელეს ბორისოვის, ცხადაიას და ყოლბაიას გვარები. ყოლბაია ჩვენ დავაპატიმრეთ, ახლა ვითხოვთ ბორისოვის და ცხადაიას გადმოცემას. ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, ჩვენ უარს გვეუბნებიან ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილების, რუსეთის ფედერაციის მაიორ ბორისოვის და მისი თანაშემწის, მურმან ცხადაიას გადმოცემაში, — აცხადებს შსს-ს წამოადგენელი შოთა უტიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოში დააკავეს ექვსი ადამიანი, რომლებსაც ასევე ტერაქტების ორგანიზებაში ადანაშაულებდნენ. მაშინ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დივერსიები რუსეთის ფედერაციის მაიორმა ევგენი ბორისოვმა განახორციელა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა მაშინ ამ ბრალდებებს „დამთრგუნველი სისულელე“ უწოდა.

გარდა ამისა, შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ გალის ხუთმხრივ შეხვედრაზე ოჩამჩირის რაიონში, ილორის ეკლესიის მდგომარეობის საკითხი იქნა წამოჭრილი.

— ილორის ეკლესიაზე, რომელიც ძირძველი ქართული ტაძარია, რუსული გუმბათი დაადგეს. ეს ჩვენში უდიდეს შეშფოთებას და გაღიზიანებას იწვევს. ჩვენ ამ ადგილის ერთობლივ მონახულებას ვითხოვდით, რათა განგვესაზღვრა, რამდენად დიდი ზიანი მიაყენეს ეკლესიას და შესაძლებელია თუ არა მისი გამოსწორება. სამწუხაროდ, ამ საკითხში ჩვენ პროგრესს ვერ მივაღწიეთ. მათ ამ ვიზიტზე უარი გვითხრეს, — აცხადებს შოთა უტიაშვილი.

მანამდე მოლაპარაკებებში აფხაზეთის „პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა“ ვიაჩესლავ ჩიკირბამ განაცხადა, რომ ქართულ მხარეს არ აქვს უფლებამოსილება, აფხაზეთში არსებული ეკლესიების სიტუაციაზე საკითხი წამოჭრას.

— ქართული მხარის ინფორმაცია სინამდვილეს რომ არ შეესაბამება, ამაში შეეძლო დარწმუნებულიყო საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების ხელმძღვანელი ჰანს იორგ ჰაბერი, რომელიც არაოფიციალური ვიზიტით აფხაზეთში იმყოფებოდა და ილორის ეკლესია მოინახულა. ამაში ასევე დარწმუნდა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი ანრი ტურუნენი, — ამბობს ჩიკირბა.

როგორც გაეროს თბილისის ოფისი იუწყება, გალის შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზღვრის გადაკვეთასთან, განსაკუთრებით მოსწავლეების მიერ, ასევე დოკუმენტების გაცემის და გადანაწილების პროცედურები, რომლებიც პიროვნების ვინაობას ადასტურებენ. გაეროს ინფორმაციით, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშაც ხუთმხრივი შეხვედრები იმართება, „ორივე საკითხზე განმარტებები იყო წარმოდგენილი“.

— მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ შემდეგი შეხვედრა 2011 წლის 22 მარტს გაიმართება, — ნათქვამია გაეროს თბილისის ოფისის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში.

# ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

## რატომ აგინა მსახიობმა მმართველს და მის მოადგილეს?

ეკა ირემაშვილი

**გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში სკანდალია. თეატრის მსახიობმა საშა ტატიშვილმა თეატრის მმართველს ნოდარ მდინარი ეს და მის მოადგილეს ზურა ნიჟარა ეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. თეატრის ეზოში მსახიობმა მმართველის მოადგილეს აგინა, ხოლო დაპირისპირება მოგვიანებით თეატრის მმართველთან გაგრ ელდა.**

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი სოსო ნემსაძე აცხადებს, გორის თეატრში ინციდენტი მართლაც მოხდა, რაც თეატრიდან მსახიობთა გათავისუფლებით იყო გამოწვეული. აღნიშნულ ინციდენტს პატრულის გამოძახება მოჰყვა. ადგილზე შს სამმართველოს კრიმინალური განყოფილების თანამშრომლებიც მივიდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ საშა ტატიშვილმა გორის თეატრი დატოვა და ამჟამად დასში აღარ ირიცხება.

რეჟისორ სოსო ნემსაძეს თეატრიდან გაშვებული მსახიობები არაობიექტურობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელმა გორის თეატრიდან პროფესიონალი მსახიობები დაითხოვა, მათ სანაცვლოდ კი თავისივე სტუდენტები თბილისიდან ჩამოიყვანა და დასში ჩარიცხა.

გორის თეატრში არსებულ დაპირისპირებაში უკეთ გასარკვევად „ახალი თაობა" რეჟისორ სოსო ნემსაძეს დაუკავშირდა.

**ᲡᲝᲡᲝ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ,** რეჟისორი, გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

***— ბატონო სოსო, რა მოხდა გორის თეატრში?***

— არაფერი განსაკუთრებული. ჩვენ მოვახდინეთ დასის გადახალისება, რასაც თეატრიდან ხალხის გაშვება მოყვა. ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ თეატრი ცოცხალი ორგანიზმია და სიახლეები სჭირდება.

***— თქვენზე ამბობენ, რომ მსახიობმა გაგინათ...***

— ასეთი რამ არ მომხდარა. ის, რაც დაიწერა და ითქვა, არის ტყუილი. ამის გამო ჩივილსაც კი ვაპირებდი.

***— და გადაიფიქრეთ?***

— კი, იმიტომ, რომ აზრი არ აქვს. ხვალ და ზეგ იგივეს გააკეთებენ ის ადამიანები, ვისაც ჩვენი კარგი არ უხარია.

***— რა გახდა გორის თეატრში სკანდალის მიზეზი?***

— თეატრში მოხდა რეორგანიზაცია. მსახიობთა ბალანსი არ იყო და ამ პირობებში თეატრში სპექტაკლის დადგმა შეუძლებელი იყო. დასში 21-დან 30 წლამდე მსახიობები საერთოდ არ იყვნენ. მსახიობთა ასაკი 40 წლიდან იწყებოდა და 80 წლამდე ადიოდა. ასეთ დასში სპექტაკლს ნამდვილად ვერ დავდგამდი. ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარეთ და გორელმა ახალგაზრდებმა თქვეს, არ მივალთ თეატრში, საერთოდ რა გვინდა, არც ჩვენი ტოლი მსახიობები არიან და არც ჩვენთვის საინტერესო თემატიკაზე კეთდება სპექტაკლებიო.

***— და ამის გამო თეატრიდან მსახიობები გაუშვით?***

— არა მარტო ამის გამო, თეატრს ახალი სისხლი სჭირდება. ეს ყველგან ასეა.

***— ბევრი მსახიობი გაათავისუფლეთ?***

— ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ დასისთვის ეს მტკივნეული არ ყოფილიყო. ჩვენ გადავწყვიტეთ დასში ყოფილიყო 20-დან 30 წლამდე მსახიობებისთვის შვიდი ადგილი, 30-დან 40 წლამდე მსახიობთათვის — 5 ადგილი, 40-დან 50 წლამდე მსახიობთათვის — 5 ადგილი, 50-დან 60 წლამდე მსახიობებისთვის — 4 ადგილი, 60-დან 70 წლამდე — 3 ადგილი და 70-დან 80 წლამდე კი — 2 ადგილი. სულ შედეგად აღმოჩნდა 26 კაცი. იმ სცენაზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, არის მცირე და 26 მსახიობი აბსოლუტურად საკმარისია.

***— როგორ შეარჩიეთ მათ შორის უკეთესები?***

— ჩავატარეთ კონკურსი, ზოგი გავიდა და დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნები, ზოგიც — ვერა. ამაში ცუდი არაფერია. მარტო მსახიობები კი არა, მეც გავდივარ კონკურსებს თეატრალურ უნივერსიტეტში, რომ სამუშაო მქონდეს. ეს მარტო ჩვენთან კი არ ხდება, უცხოეთშიც ასეა. თუ გვინდა კარგი თეატრი, მას სწორი მიმართულება უნდა ჰქონდეს და კარგი დასი უნდა ჰყავდეს.

***— 20-დან 30 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მართლა სულ თქვენი სტუდენტები აიყვანეთ?***

— არა, ეს ტყუილია. ამ ასაკობრივ კატეგორიაში მოხვდნენ ის ადამიანები, ვინც დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი.

***— და ისინი თქვენი სტუდენტები არ არიან?***

— არა. შემიძლია ზუსტად დაგისახელოთ, რამდენი ახალგაზრდა მსახიობი ავიყვანეთ და ვისი სტუდენტები არიან. გორის თეატრში პირველ რიგში გვინდოდა გორელი ახალგაზრდები დაგვეკავებინა, მაგრამ მარტო სოსო მგალობლიშვილია გორელი. ახალგაზრდებიდან ჩვენს დასში სხვადასხვა რეჟისორების სტუდენტები მოხვდნენ — მათგან მედეა კუჭუხიძის სამი სტუდენტია, გოგა მარგველაშვილის — ერთი სტუდენტი, დიმიტრი ხვთისიაშვილის — ერთი სტუდენტი, შალვა გაწერელიას — ერთი სტუდენტი და კობა სხილაძის — ერთი სტუდენტი. ძალიან დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდები გორში წამოსვლაზე დამეთანხმებინა.



***— თქვენი სტუდენტი რამდენია?***

— ჩემი ოთხი სტუდენტია. ახლა იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ რა უნდა თბილისელ მსახიობს გორშიო. ეს რას ნიშნავს? მაშინ გორელმა მსახიობმა თბილისში ველარ უნდა იმუშაოს? ასე თუ ვიმსჯელებთ, სეპარატიზმთან გვქონია საქმე და ეგ არის!

***— საშა ტატიშვილს რაღას ერჩოდით?***

— მე მასთან არანაირი ინციდენტი არ მქონია. საშა ნაომარია, ამიტომ მისი ფსიქიკა ცოტა მძიმეა. მან ჩვეულებრივად გაიარა კონკურსი და დარჩა დასში. ის იდგა თეატრის ეზოში, სადაც მე საერთოდ არ ვყოფილვარ. მას ინციდენტი მოუვიდა მმართველის მოადგილესთან ზურა ნიჟარაძესთან. მე და თეატრის მმართველს დაგვირეკა დაცვამ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვედით თეატრის ეზოში. პირადად მივედი საშასთან და ვთხოვე დამშვიდება. ჩემთვის ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს. მან დატოვა თეატრი და წავიდა. შემდეგ თეატრის მმართველი მიდიოდა გუბერნიაში და იქ გადაეყარა საშას. როგორც გავიგე, მათ შორის დაპირისპირება მოხდა და მსახიობებმა გააშველეს. მმართველმა თქვა, ან მე დავწერ განცხადებას და წავალ თეატრიდან, ან საშაო. ამის შემდეგ საშა წავიდა თეატრიდან.

***— ახლა რაზე მუშაობთ?***

— ვიწყებთ აქციას თეატრი თეატრისთვის, რომელიც გორის თეატრის დასახმარებლად ტარდება. ველოდებით სტუმრებს — თეატრალურ დასებს თბილისიდან. გორის თეატრის დიდი სცენა უმძიმეს მდგომარეობაშია — დიდი დარბაზი მთლიანად ამორტიზებულია, მეტრნახევარზეა ჭერი ჩამოწოლილი.

***— ვინ ჩამოვა თბილისიდან?***

— თბილისის ყველა თეატრი თანახმაა ჩამოვიდეს და ჩვენი თეატრის გადასარჩენად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ითამაშოს სპექტაკლები. თეატრების ასეთი ერთსულოვნებით სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. პირად საუბრებში ამ აქციაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა ქუთაისისა და ახალციხის თეატრებმაც გამოთქვეს. ვიცით, რომ ეს აქცია არ გვიშველის, მაგრამ მთავარია მაყურებელი მოვაბრუნოთ თეატრისკენ. გორელმა მაყურებელმა უნდა ნახოს რა სპექტაკლებია თბილისში. რა თანხაც შემოვა, ვიცით, რომ დიდი დარბაზი არ აღდგება, მაგრამ იმით ელემენტარულად მაინც მოვაწესრიგებთ თეატრს. ისეთი არათეატრალური პირობებია გორის თეატრში, რომ სულიერებაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. იმედი გვაქვს, გუბერნატორიც მხარში ამოგვიდგება და გორის თეატრი ისევ ფეხზე დადგება.

***— აქციას როდის ატარებთ?***

— 28 თებერვალს დავიწყებთ და 27 მარტამდე გაგრძელდება. სამოთხდღიანი შუალედებით ყველა ასაკისა და გემოვნების მაყურებელს საინტერესო სპექტაკლებს შევთავაზებთ. ჩვენ გვინდა რეპერტუარში გვქონდეს ერთი კომედია, ერთი საბავშვო სპექტაკლი და ერთიც პატრიოტული. უკვე გავაფორმეთ მემორანდუმი უნივერსიტეტთან, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, შეღავათიან ფასად იარონ თეატრში. უახლოეს მომავალში ასეთივე მემორანდუმს გავაფორმებთ რესურსცენტრთან, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებიც ეზიარონ ქართულ თეატრს. გვინდა გავაკეთოთ თეატრალური გაკვეთილები, სადაც ვიხელმძღვანელებთ ნათელა ურუშაძის წიგნით „წავიდეთ თეატრში". ქართულ ჯართან გვექნება აქტიური ურთიერთობა და ისინი პატრიოტულ თემაზე შექმნილ სპექტაკლებს ნახავენ. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ გორი თეატრალურ ქალაქად იქცეს!

# ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ

ეკა ირემაშვილი

24 თებერვალს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი ჰერმან პარცინგერი საჯარო ლექციას გამართავს თემაზე „უახლესი არქეოლოგიური კვლევები ციმბირის სტეპებში — არჟაანის სამეფო სამარხები". საჯარო ლექცია ჩატარდება ინგლისურ ენაზე სინქრონული თარგმანით. ღონისძიება „საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის" ტვინინგის პროექტის ფარგლებში ტარდება. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მასზე დასწრება კი თავისუფალია.

პროფესორ ჰერმან პარცინგერის ხელმძღვანელობით სამხრეთ ციმბირში, ტუვას რესპუბლიკაში არჟაანთან ახლოს „მეფეების ხეობაში", არქეოლოგიური გათხრებისას სკვითების უმდიდრესი ყორღანები აღმოაჩინეს. ამ სამარხებში, რომლებიც მმართველი კლასის წარმომადგენლებს ეკუთვნით, ძვ.წ. VII-VI საუკუნის ათასობით ოქრომჭედლობის შედევრია ნაპოვნი. ინტერდისციპლინარული კვლევის უახლესი შედეგები ქართველი საზოგადოების წინაშე პირველად იქნება წარდგენილი.

პროფესორი ჰერმან პარცინგერი ევროპის უდიდესი სამუზეუმო გაერთიანების — პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტია, რომლის შემადგენლობაშია ბერლინის ეროვნული მუზეუმები, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, სახელმწიფო არქივი, იბერო-ამერიკული ინსტიტუტი და მუსიკალური კვლევითი ინსტიტუტი. მან დააფუძნა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილება, სათავეში ედგა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტს, მისი ხელმძღვანელობით არქეოლოგიის ინსტიტუტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა კვლევების არეალი. პროფესორი პარცინგერი უკვე 15 წელია პირადად ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ პროექტებს სხვადასხვა ქვეყნებში. იგი საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარია, მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო ჯილდო. მას გერმანული მეცნიერების უმაღლესი ჯილდო გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის პრემია მიენიჭა. ჰერმან პარცინგერი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

# ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲐ

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პერმიერაა. თეატრის მეოთხე სარეპეტიციო დარბაზში რეჟისორის სოსო ბაკურაძის სპექტაკლის „როგორც იქნა" პრემიერა შედგება. სპექტაკლი პიტერ ტურინის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა. მისი თარგმანიც რეჟისორს ეკუთვნის.

„როგორც იქნა" ეს არის ერთმოქმედებიანი მონოსპექტაკლი, რომელშიც ზუკა პაპუაშვილი მონაწილეობს. წარმოდგენის მხატვრები ავთანდილ მოდებაძე და ზაზა კეცხოველი არიან, კომპოზიტორი — ალექსანდრე ნიკოლაძე, რეჟისორის თანაშემწე კი — რუსუდან ბარბაქაძე.

ეს სპექტაკლი ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში" იდგმებოდა. სწორედ ამ თეატრში ნახა მაყურებელმა პირველად იოსებ ბაკურაძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი. ზუკა პაპუაშვილმა ერთი მსახიობის თეატრში დადგმულ მონოსპექტაკლში 15 და 16 დეკემბერს ითამაშა. როგორც „ახალ თაობას" თეატრ „ვერიკოში" განუცხადეს, ამჟამად თეატრში სპექტაკლები აღარ თამაშდება, რადგან თეატრს ფინანსური პრობლემები აქვს. შესაბამისად სპექტაკლი „როგორც იქნა" „ვერიკოს" რეპერტუარში აღარ არის.

სპექტაკლში ჟურნალისტი, მისი ცხოვრება და სიკვდილია აქცენტირებული. სუიციდის მცდელობა სწორედ რუსთაველის თეატრში გათამაშდება. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

# ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲣᲙᲠᲐᲕᲡ

ეკა ირემაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში 24 თებერვალს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტი ნელსონ გოერნერი სოლოკონცერტს გამართავს.

საკონცერტო პროგრამაშია მოცარტის, შუმანისა და ლისტის ნაწარმოებები. მიუხედავად იმისა, რომ პიანისტი აზიაში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად მართავს კონცერტებს, საქართველოში ის პირველად დაუკრავს. ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყოველ ზაფხულს ჩამოდის, რადგან მეუღლე ქართველი ჰყავს.

ნელსონ გოერნერი არაერთი პრესტიჟული ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. პიანისტი წარმატებით გამოდის მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებში, მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში და უკრავს ცნობილ სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ნელსონ გოერნერის შემოქმედების გაცნობა საკმაოდ ხშირად მუსიკალურ არხ „მეცოზეც" შეუძლიათ.

კონსერვატორიაში დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 20 ლარამდეა. საქართველოს შემდეგ შვეიცარიელ პიანისტს უკვე დაგეგმილი აქვს კონცერტები მადრიდში, ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**



**ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ**

**ა.წ. 1 მარტს, 19 საათზე გაიმართება ამხანაგობა „მზიური 2003"-ის კრება. ვიწვევთ სამშენებლო კომპანია „ბაგები XXI"-ს.**



**ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ**

- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი". ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.
- გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

# „რეალი" კვლავ უსიამოვნო ტრადიციის ზღვარზეა

**ჩემპიონთა ლიგის მორიგი დღე საინტერესო გამოდგა. მთავარი მატჩი კი ლიონში, „სტად ჟერლანზე" გაიმართა, სადაც მადრიდის „რეალი" სტუმრობდა.**



### ლიონი — რეალი 1:1

**0:1 ქარიმ ბენზემა (65 , 1:1 გომისი (73**

**ლიონი:** ლორისი, კრისი, ლოვრენი, კალსტრიომი (პიანიჩი 77), ბასტოსი (ბრიანდი 69), რეველიერი, ტულანანი, სისოკო, დელგადო (პიედი 69), გურკუფი გომისი

**რეალი:** კასიალიასი, რამოსი, კარვალიუ, პეპე, არბელოა, ხავი ალონსო, ჰედირა (დიარა 68), ოზილი (მარსელო 75), დი მარია, რონალდუ, ადებაიორი (ბენზემა 64)

ეს იყო 2 ძველი ნაცნობის მატჩი. „რეალისთვის" ფრანგები უკვე პრინციპულ მეტოქეს წარმოადგენენ და ამაში გასაკვირიც არაფერია. ამ მატჩამდე მათ 6 დაპირისპირებაში მადრიდელებმა ვერც ერთი გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხეს. მეტიც — ლიონში ყველა გამართული მატჩი მასპინძლებმა მოიგეს, ხოლო მადრიდში გუნდები ფრეს თამაშობდნენ და მომდევნო ეტაპზე მუდამ „ლიონი" გადიოდა.

მადრიდელთა კიდევ ერთი უსიამოვნო ტრადიცია ის არის, რომ უკვე 6 წელია, გუნდი ვერ ახერხებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპი გადალახოს. არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმაში იქნება „სამეფო კლუბი" — ეს ბარიერი ყოველთვის დაუძლეველი რჩება. იქნებ, ახლა მოახერხოს „რეალმა" ამ ტრადიციის დარღვევა, მათ ხომ მწვრთნელად თითქმის დაუმარცხებელი ჟოზე მოურინიო ჰყავთ.

თუ პირველი მატჩით ვიმსჯელებთ, „რეალმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ ლიონში არ წააგო, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლის დიდ შანსებს უტოვებს. თუმცა, თუ ფსიქოლოგიურად ისევ ვერ განეწვნენ, არ არის გამორიცხული, „ლიონმა" ისევ მეოთხედფინალს მიღმა დატოვოს მოურინიოს შეგირდები.

მატჩმა საერთო ჯამში თანაბრად ჩაიარა და ფრე ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლოა, „რეალს" მეტი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ისინიც რამდენჯერმე გადარჩნენ.

მასპინძლებს მთავარი დამრტყმელი ძალა, ლისანდრო ლოპესი აკლდათ და მადრიდელებთან თამაში ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, ბატეფიმბი გომისით მოუწია. მანაც შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს და სწორედ მისი, დელგადოსა და იოან გურკუფის დამსახურება იყო, რომ პირველმა ტაიმმა „ლიონის" უპირატესობით ჩაიარა.

მიუხედავად შესამჩნევი უპირატესობისა, „ლიონს" პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი საგოლე შანსი მიეცა, თუმცა, ასპროცენტიანი. 34-ე წუთზე მიშელ ბასტოსის ჩაწოდების შემდეგ გამოსვლაზე შეცდა იკერ კასილიასი და გომისს ბურთის ცარიელ კარში გატანა მართებდა, მაგრამ მიწაზე გართხმულ მეკარეს მოარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისი უკვე მადრიდელების იყო და „ლიონი" ორჯერ გაურჩა გოლს. ერთწუთიან ინტერვალში ჯერ კრიშტიანუ რონალდუმ საჯარიმო დარტყმით გაარტყა ბურთი ძელს, შემდეგ კი კუთხურიდან მოწოდებულს თავი სერხიო რამოსმა დაჰკრა და ამჯერად „ლიონი" ხარიხამ იხსნა.

ამ მომენტებმა მასპინძლები ცოტა არ იყოს დააბნია და ბურთის კონტროლი მეტოქეს ჩააბარეს, მაგრამ არც მათ გამოსდიოდათ რაიმე ხეირიანი. მოურინიომ შეცვლა მოამზადა და რომ იტყვიან, გამოიცნო.

„ლიონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ქარიმ ბენზემა მოედანზე ერთი წუთის შესული არ იყო, რომ მოედნის კიდესთან ბურთის იბრძოლა, მოიპოვა და მესუტ ოზილს გადააწოდა, მან საჯარიმომდე მიირბინა, სადაც რონალდუ მოძებნა, მან კი თავის მხრივ უკვე საჯარიმოში შეჭრილი ბენზემა დაინახა, ფრანგმა ფეხბურთელმაც ბურთი დასარტყმელად დაამუშავა და ყოფილი თანაგუნდელები დაამწუხრა.

თითქოს „რეალი" ახლო იყო უსიამოვნო ტრადიციის დარღვევასთან, მაგრამ ასე არ ფიქრობდა გომისი. 83-ე წუთზე, „ლიონის" მორიგი ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში კრისმა იბრძოლა, რომელმაც თავით დაუგდო ბურთი გომისს, რომელიც უმეთვალყუროდ იყო დატოვებული საჯარიმოში და მანაც აუღელვებლად გაიტანა. ამ მომენტში უხეშად შეცდა სერხიო რამოსი, რომელიც თანაგუნდელების მიერ შექმნილ ხელოვნურ თამაშგარე მსგომარეობას არ აჰყვა და მეკარესა და თავდამსხმელს შორის ჩარჩა.

და მაინც, წყვილის ფავორიტად „რეალი" რჩება, მაგრამ ასე იყო ყოველთვის. ვნახოთ, რა იქნება განმეორებით შეხვედრაში.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ბატეფიმბი გომისი

„ლიონის" ფეხბურთელებს შორის ყველაზე გამძლე და ბოლომდე მებრძოლი გამოდგა. ხანდახან, როდესაც პარტნიორები მხარს არ უბამდნენ, მარტო ცდილობდა კასილიასის კარის გასაღები მოეძებნა. საბოლოოდ, მაინც მოახერხა და მისი გუნდი მარცხისგან იხსნა.

### კოპენჰაგენი — ჩელსი 0:2

**0:1, 0:2 ანელკა (1§, 54**

**კოპენჰაგენი:** ვილანდი, ჰოსპიშილი, კლაუდემირი, კვისტი, გრონკიაერი (ზოჰორე 87), სანტინი (ვინგაარდი 46), ნდოიე, ანტონსონი, ვენდტი (ბენგსტონი 75), ზანკა, ბოლანიოსი

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, რამირესი, ბოსინგვა, ესიენი, ლამპარდი, კოული, მალუდა (ჟიჟკოვი 85), ანელკა (დროგბა 73), ტორესი (კალუ 90)

ამ წყვილში ყველაფერი გადაწყვეტილია. „ჩელსი" ფავორიტად მანამდეც ითვლებოდა და მათ შენდეგ ეტაპზე გასვლაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ლონდონელებმა საქმე მეტოქის მოედანზე მოილიეს.

ანგარიში მალევე გაიხსნა — მე-17 წუთზე დანიელი ნახევარმცველები საკუთარ ნახევარზე შეცდნენ, ბურთი ნიკოლა ანელკამ კარიდან 45 მეტრში მოიგდო, მეტოქის კარისკენ ირბინა და როგორც კი საჯარიმოში შეაღწია, ვილანდის მარჯვენა კუთხეში ძელიდან ასხლეტით გაუტანა.

თითქმის იმავე წერტილიდან გაიტანა ანელკამ მეორე გოლიც, მხოლოდ ამ შემთხვევაში ფრენკ ლამპარდმა იდეალური პასით დატოვა ხელსაყრელ სიტუაციაში და ფრანგმაც თავი არ შეირცხვინა.

გულშემატკივრები „კოპენჰაგენისგან" მეტს ელოდნენ, რადგან ამ გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე გაცილებით უკეთესი თამაშები აჩვენა, თუმცა, „ჩელსის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ნიკოლა ანელკა

იშვიათად ხდება, რომ ფრანგი ფეხბურთელი გუნდის მთავარ შემოქმედად გვევლინება. ის უფრო მეტად დიდიე დროგბას რჩდილში იმალება, მაგრამ ამჯერად მისი არყოფნით ისარგებლა. მისი 2 გოლი, პრაქტიკულად შემდეგი ეტაპის საგზურია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

# „ოლიმპი" ოლიმპზე რჩება

### ოლიმპი — დინამო 1:0

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**

*1:0 ი.მაისურაძე (30)*

**ოლიმპი:** ბედიაშვილი, რეხვიაშვილი, მურველაშვილი, კვახაძე, ტყემალაძე (გ.ჭელიძე 85), ქავთარაძე (ჯაფარიძე 85), რაზმაძე, დობროვოლსკი, დ.ბოლქვაძე, ი.მაისურაძე (გეწაძე 75), მოდებაძე

**დინამო:** ლორია, კაშია (ლონღაძე 60), კაკუბავა, კვარაცხელია, მაროვიჩი, ედნილსონი, კოშკაძე, არზიანი (კვეკვესკირი 37), რობერტიონიო (კახელიშვილი 46), ჯუსი, იელიჩი

ტურის ცენტრალური მატჩი საინტერესოდ წარიმართა. თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს. ორივე გუნდის რამდენიმე ნახევარმომენტის შემდეგ გოლის გატანის შანსი რუსთაველთა ბომბარდირ ირაკლი მოდებაძეს მიეცა, რომლის დარტყმული ბურთი გიორგი ლორიამ კუთხურზე გადააგდო.

2 წუთში ისევ მოდებაძისა და ლორიას დუელი შედგა, რომელშიც გამარჯვებული კვლავ მეკარე გამოვიდა.

26-ე წუთზე „ოლიმპი" კაცნაკლული დარჩა — დავით ბოლქვაძემ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ავტომატურად დატოვა მოედანი. „ოლიმპიც" თითქოს ამას უცდიდაო და გოლიც გაიტანა — ქვემოქართლელთა მიერ მარჯვენა ფლანგზე დაწყებული შეტევა ირაკლი მაისურაძემ ახლოდან გოლის გატანით დაასრულა.

ტაიმის ბოლოს „დინამო" უფრო გააქტიურდა და მეტოქის კართან ზედიზედ მოაწოდა კუთხურები, თუმცა, ამით ხეირს ვერაფერს გამორჩა.

მეორე ტაიმი კი ცუდი სანახი გამოდგა. ერთადერთი სახიფათო მომენტი 83-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც გიორგი კახელიშვილმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ვერ გაიტანა.

### სპარტაკი — ზესტაფონი 1:2

**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი**

*0:1 დაუშვილი (72), 0:2 წინამძღვრიშვილი (75), 1:2 ბუზალაძე (88)*

**სპარტაკი:** გრიშიკაშვილი, ჭაფოძე, ბოიომო, ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი, ვ.უგრეხელიძე (ოთარაშვილი 68), მამუჩიშვილი, მგელაძე (შონია 77), კლოვისი, ვ.ბოლქვაძე, მ.ბარაბაძე (ბუზალაძე 40)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, კობახიძე, ალადაშვილი, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი, ბაბუნაშვილი (ძარია 64), გრიგალაშვილი, ბენაშვილი, დვალი (ჭანკოტაძე 77), გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 70)

კიდევ ერთი ლიდერი თბილისში ესტუმრა ცხინვალის „სპარტაკს" და მხოლოდ ბოლო 20 წუთში გატეხა. ჯერ ბუბა დაუშვილმა გამოიჩინა თავი, შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა, რომელიც ერთპიროვნულად დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში.

მასპინძლებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მატჩის ბოლო წუთებზე ილია ბუზალაძემ სხვაობა მინიმუმადე შეამცირა.

### ბაია — ტორპედო 1:0

**ზუგდიდი. გულია თუთბერი ის სახელობის სტადიონი**

*1:0 ეხვაია (57)*

**ბაია:** სომხიშვილი, სვირავა, აქუბარდია, აფაქიძე, გამყრელიძე (სიხარულია 64), ქობალია, ეხვაია, რიგვავა (წურწუმია 82), ლომია, ვართაგავა

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე (დოლიძე 62), მაჭავარიანი, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი (ნ. მაისურაძე 51), თარხნიშვილი, ბაკურაძე, სეთურიძე, მეგრელაძე, კვარაცხელია (გოცირიძე 70)

მატჩის ერთადერთი გოლი ზუგდიდელთა კუთხურს მოჰყვა — ირაკლი ეხვაიამ მცველებს დაასწრო და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

### სამტრედია — სიონი 1:1

**სამტრედია. ეროსი მანჯგალა ის სახელობის სტადიონი**

*1:0 ცხადაია (2), 1:1 რ.ჯიქია (39)*

### კოლხეთი — ვიტ ჯორჯია 0:2

**ფოთი. ფაზისის სტადიონი**

*0:1 ჩიმაკაძე (9), 0:2 ბეჭვაია (24)*

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 21 | 13 | 5 | 3 | 33:17 | 44 |
| 2.ზესტაფონი | 20 | 13 | 2 | 5 | 41:13 | 41 |
| 3.დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24:11 | 37 |
| 4.ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21:23 | 29 |
| 5.სიონი | 21 | 6 | 7 | 8 | 15:24 | 25 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 21 | 8 | 2 | 11 | 21:27 | 26 |
| 7.ტორპედო | 20 | 5 | 8 | 7 | 10:12 | 23 |
| 8.კოლხეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 16:33 | 22 |
| 9.სამტრედია | 20 | 5 | 5 | 10 | 19:34 | 19 |
| 10.სპარტაკი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:26 | 17 |

**ბომბარდირები:** რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 11 ბურთი, ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი), ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) —10-10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 7, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 6.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ლიონი-რეალი ........ 1:1
კოპენჰაგენი-ჩელსი ........ 0:2

**ევროპის ლიგა**

ცსკა-პაოკი ........ 1:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექპული-ტოტენჰემი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2.არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56:27 | 53 |
| 3.სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7.სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8.ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9.ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:38 | 35 |
| 10.სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:33 | 33 |
| 11.ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12.ბლექპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42:51 | 32 |
| 13.ფულემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 14.ევერტონი | 27 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 15.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 16.ას. ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 17.ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 18.უიგანი | 26 | 5 | 12 | 9 | 27:42 | 27 |
| 19.ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20.ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27:46 | 25 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ჰალი ........ 0:1
კარდიფი-ლესტერი ........ 2:0
ქოვენთრი-სუონსი ........ 0:1
ლიდსი-ბარნსლი ........ 3:3
ნორვიჩი-დონკასტერი ........ 1:1
პორთსმუთი-კრ.პალასი ........ 1:0
სკანთორპი-შეფილდი ........ 3:2
უოტფორდი-ბრისტოლი ........ 1:3
ქპრ-იფსვიჩი ........ 2:0
ნოტინგემი-პრესტონი ........ 2:2
რედინგი-მილუოლი ........ 2:1

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ემპოლი ........ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰამილტონი ........ 1:0
სტ.ჯონსონი-დანდი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 26 | 20 | 4 | 2 | 59:15 | 64 |
| 2.რეინჯერსი | 24 | 18 | 2 | 4 | 53:23 | 56 |
| 3.ჰართსი | 26 | 17 | 3 | 6 | 41:22 | 54 |
| 4.კილმანროკი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:33 | 36 |
| 5.მოზერველი | 26 | 10 | 4 | 12 | 29:34 | 34 |
| 6.ინვერნესი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:33 | 33 |
| 7.დანდი | 23 | 7 | 9 | 7 | 27:30 | 30 |
| 8.სტ.ჯონსონი | 26 | 8 | 6 | 12 | 17:30 | 30 |
| 9.აბერდინი | 26 | 9 | 2 | 15 | 30:44 | 29 |
| 10.ჰიბერნიანი | 26 | 7 | 4 | 15 | 26:43 | 25 |
| 11.სტ.მირენი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:42 | 19 |
| 12.ჰამილტონი | 25 | 2 | 8 | 15 | 14:43 | 14 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-ინდიანა ........ 96:113
შარლოტი-ტორონტო ........ 114:101
დეტროიტი-ჰიუსტონი ........ 100:108
მაიამი-საკრამენტო ........ 117:97
მილუოკი-მინესოტა ........ 94:88
ოკლაჰომა-კლიპერსი ........ 111:88
დენვერი-მემფისი ........ 120:107
გოლდენ სტეიტი-ბოსტონი ........ 93:115
ლეიკერსი-ატლანტა ........ 104:80

*ზაზა ფაჩულია: 5 ქულა, 2 მოხსნა*

### ჩოგბურთი

**ატპ. დუბაი. ჰარდი**

სტახოვსკი-ავადჰი ........ 6:4;6:2
ტურსუნოვი-გრანოლერსი ........ 1:6;3:6
ფედერერი-დევ ვარმანი ........ 6:3;6:3
იუჟნი-სიმონი ........ 3:6;5:7
გასკე-ბუბკა ........ 6:2;7:5
მაიერი-გოლუბევი ........ 6:3;6:4

**ვტა. დოჰა. ჰარდი**

აზარენკო-ჰანტუჩოვა ........ 6:4;1:6;2:6
ზაკოპალოვა-დულჟერუ ........ 7:6;6:2
იანკოვიჩი-ალ ნაბჰანი ........ 6:1;6:3
იოვანოვსკი-მირზა ........ 2:6;5:7

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ტორონტო-აილენდერსი ........ 2:1
ფილადელფია-ფინიქსი ........ 2:3(ოტ)
დეტროიტი-სან ხოსე ........ 3:4
მინესოტა-ედმონტონი ........ 4:1
სენტ ლუისი-კოლორადო ........ 3:4
დალასი-ნიუ ჯერსი ........ 0:1
კალგარი-ბოსტონი ........ 1:3
ვანკუვერი-მონრეალი ........ 2:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ალექსანდრე ამისულაშვილი: „არველაძე, ალბათ, გამიგებს"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***— კორექტული იქნება „ქაისერი" თქვენს ყოფილ გუნდს, ნალჩიკის „სპარტაკს" შევადაროთ?***

— არ მგონია. „ქაისერს" ძალიან მაღალი მიზნები აქვს და გუნდი ევროტურნირებზე სათამაშოდ ემზადება. ინფრასტრუქტურაც უკეთესი აქვთ — სტადიონი, ბაზა... ყველაფერი უმაღლესი დონის არის.

***— ფინანსები?***

— ნორმალური. გავიგე, რომ გუნდს პატრონობს ქალაქის ყოფილი მერი, მაგრამ სინამდვილეში ასე არის, თუ არა, ნამდვილად ვერ გეტყვით. ფაქტი კი ის არის, „ქაისერის" სტადიონი, რომელიც 2 წლის წინ აშენდა, თურქეთში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამასთან, გუნდს აქვს შესანიშნავი საწვრთნელი ბაზა და კიდევ ერთს აშენებენ. ეს კი რაღაცაზე მეტყველებს.

***— ხმაურიანი გულშემატკივრები ჰყავთ?***

— თავადაც კარგად იცით, რომ თურქეთში უფრო კარგი გულშემატკივრობაა, ვიდრე — რუსეთში.

***— კი, მაგრამ იქ შესაძლოა, ფეხბურთელის ავტომობილს ქვებიც დაუშინონ.***

— ხდება ასეც. საბედნიეროდ, ჩვენი გუნდის არც ერთ ფეხბურთელს მსგავსი რამ არ შემთხვევია.

***— სტადიონზე ბევრი გულშემატკივარი დადიოდა?***

— გააჩნია, ვის ვეთამაშებოდით. საშუალოდ 15.000 მაყურებელი იყრიდა თავს.

***— თურქეთში ყოფნისას რომელი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის წინააღმდეგ მოგიწიათ თამაში?***

— რამდენიმე დღის წინ „ფენერბახჩეს" ვეთამაშეთ. მათ ჰყავთ შესანიშნავი თავდამსხმელი მამადუ ნიანგი — საფრანგეთში თამაშობდა. სტამბულში თამაშისას გოლიც გავიტანა. საერთოდ, ლიდერებთან კარგად ვითამაშეთ — „ბეშიქთაშს" მვუგეთ, ხოლო „გალათასარაისთან" და „ტრაბზონთან" კი ფრეები ვითამაშეთ.

***— თქვენი კარგად ნაცნობი იური კრასნოჟანი „ლოკომოტივში" გიპირებდათ გადაბირებას.***

— რა არის დასამალი, ჯერ კიდევ დეკემბერში იყო ასეთი საუბრები, მაგრამ ჩემს კონტრაქტში ეწერა თანხა, რომელიც ჩემი წასვლისთვის დაინტერესებულ კლუბს უნდა გადაეხადა. შესაძლოა, „ლოკომოტივი" ამ თანხამ დააფრთხო.

***— რით მოგხიბლათ „კრასნოდარმა"?***

— პირველ რიგში, მათი მხრიდან სერიოზული დაინტერესება დავინახე. მეორე კი კლუბის ამბიციაა. „კრასნოდარი" სულ 3 წლის შექმნილი გუნდია და უკვე პრემიერლიგაშია. ჩემი განვითარებისთვის მისაღები გუნდია. ქალაქიც ლამაზია და იმედი მაქვს, აქ თავს კომფორტულად ვიგრძნობ.

***— რამდენხნიანი კონტრაქტი გააფორმეთ?***

— კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მხოლოდ ფორმალური მხარეებია მოსაგვარებელი. პრინციპში შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტს 4 ან 4,5 წლით გავაფორმებ.

***— თურქეთში რატომ წახვედით, არველაძის ფაქტორის გამო?***

— დიახ.

***— ის თქვენზე ნაწყენი არ დარჩება?***

— შესაძლოა, ცოტა გაბრაზდეს. როგორც მწვრთნელს, სწორად გავუგებ. რა თქმა უნდა, მისთვის ძნელი იქნება ძირითადი ფეხბურთელის შუა სეზონში გამოკლება. ჩემთვისაც არ იყო იოლი, უცებ ავდგე და სხვაგან წავიდე, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. იმედი მაქვს, შოთა ჩემს ამბავს სწორად მიიღებს — ახლა თუ არა, გარკვეული დროის შემდეგ მაინც.

## დღის კალენდარი

### 24 თებერვლისთვის



**წლის 55-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 310 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მღვდელმოწამისა ვლასისა, სებასტიელი მთავარეპისკოპოსისა (308-232); მართლისა თეოდორასი, საბერძნეთის დედოფლისა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემის აღმდგენელისა (დაახლ. 867); პოვნა პატიოსანთა ნაწილთა მართლისა ზაქარიასი, იოანე ნათლისმცემლის მამისა (451); მოწამეთა 2-თა ყრმათა და 7-თა დედათა, წმიდისა ვლასი სებასტიელის თანამოსაგრეთა; ღირსისა დიმიტრი პრილუცკელისა (1392); ფოტისი და ალაპისი და მისთანა მარტვილთა ალექსანდრიელთა; მოწამისა გიორგი სერბისა (1532).

**დაიბადნენ:**

1313 — ჯოვანი ბოკაჩიო, იტალიელი მწერალი, გარდაიცვალა 1375 წელს.
1744 — ფიოდორ უშაკოვი, რუსი ადმირალი.
1786 — ვ. გრიმი, მწერალი-მეზღაპრე, გარდაიცვალა 1859 წელს.
1804 — ემილ ლენცი, ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი, ჯოულ-ლენცის კანონის აღმომჩენი.
1873 — ენრიკო კარუზო, გამოჩენილი იტალიელი მომღერალი (ტენორი). გარდაიცვალა 1921 წელს.
1913 — ემანუილ კაზაკევიჩი, რუსი მწერალი, გარდაიცვალა 1962 წელს.
1932 — მიშელ ლეგრანი, კომპოზიტორი, ჯაზის პიანისტი და დირიჟორი.

**გარდაიცვალნენ:**

1810 — ჰენრი კავენდიში, ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, წყალბადის აღმომჩენი, დაიბადა 1731 წელს.
1993 — ბობი მური, ინგლისელი ფეხბურთელი.

**მოვლენები:**

1714 წელი — რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა სანკტ-პეტერბურგში ბოტანიკური ბაღი დააარსა.
1846 წელი — გაიხსნა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
1848 წელი — პარიზში მონარქია დაამხეს და II რესპუბლიკა გამოაცხადეს.
1895 წელი — კუბაში დაიწყო სახალხო აჯანყება ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ.
1918 წელი — ესტონეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
1964 წელი — კასიუს კლეი (მოჰამედ ალი) კრივში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.
1988 წელი — ბერლინის ოპერის თეატრში დონიცეტის ოპერის „სიყვარულის სასმელის“ დამთავრების შემდეგ იტალიელი მომღერალი ლუჩანო პავაროტი 165-ჯერ გამოიძახეს სცენაზე, აპლოდისმენტები 1 საათს და 7 წუთს გრძელდებოდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

განა — თავისუფლების დღე.
მექსიკა — დამოუკიდებლობის დღე.
ესტონეთი — დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

## მასობრივი გამოსვლები ინდოეთშიც დაიწყო

მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ინდოეთშიც დაიწყო, - როგორც “რია ნოვოსტი“ იუწყება , პროფკავშირების გაერთიანებები დელის ქუჩებში ფასების ზრდას აპროტესტებენ.

საპროტესტო მარშის გამო, რომელიც 40 ათასამდე ადამიანს აერთიანებს, დედაქალაქის ქუჩები ბლოკირებულია.

პროფკავშირების ინფორმაციით, პროტესტის მთავარი მიზეზი საკვებ პროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებაა.

დემონსტრანტებს წითელი დროშები უჭირავთ, რომლებზეც ნამგალი და უროა გამოსახული. “ხელისუფლება არაფერს აკეთებს. ჩვენ გვინდა მათ მოქმედებისკენ მოვუწოდოთ. ბევრ ქვეყანაში გამოდის ხალხი და ხელისუფლებას საკუთარი მოთხოვნების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს.

— ნახეთ, რა ხდება ეგვიპტეში, ლიბიაში, სხვა ქვეყნებში. ჩვენი ხელისუფლება ტელევიზორთან ზის და შეშფოთებულია ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებით. ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა კი, მათ შეშფოთებას რატომღაც არ იწვევს, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

დემონსტრანტების ნაწილი კი აცხადებს, რომ ისინი ქვეყანაში არსებულ კორუფციას აპროტესტებენ.

— ხელისუფლება და ბიზნესმენები მოილაპარაკებენ, ჩვენ კი ვიტანჯებით, — აცხადებენ პროფკავშირების წარმომადგენლები.

აქციის მონაწილეები ქვეყნის პარლამენტის შენობასთან მისვლას აპირებენ. პოლიცია მათ ჯერ ხელს არ უშლის. საგზაო ინსპექტორები ავტომანქანების ნაკადს აჩერებენ, რათა დემონსტრანტების კოლონას გავლის საშუალება მიეცეს.

**ათბ-ნიუსი**

## მუამარ კადაფი ბიბლიურ გამოსვლას გამოიწვევს

პოლკოვნიკმა მუამარ კადაფიმ თავის ხალხს ომი გამოუცხადა. ამის გამო ათასობით მშვიდობიანი მაცხოვრებელი საზღვრებს მიაწყდა და ცდილობს უცხო ქვეყნებს შეაფაროს თავი. ლიბიაში არსებულ სხვადასხვა საელჩოსთან ადამიანების დიდი რიგები დგას. ამან ლიბიის მეზობელი ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია. განსაკუთრებით შეშფოთებულია იტალიის მთავრობა. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკო ფრატინის, განცხადებით, ლიბიიდან ლტოლვილთა რაოდენობამ შეიძლება ბიბლიური გამოსვლის მასშტაბს მიაღწიოს. მისი ვარაუდით, ეს ციფრი, სულ ცოტა, 200-300 ათასის ტოლი იქნება და პრობლემა არა მარტო იტალიას შეექმნება. ფრატინი, ლტოლვილთა განსაკუთრებით დიდ ნაკადს, ლიბიის სამხრეთიდან ელოდება, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ერთი მესამედი, ანუ, 2,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.



მისივე სიტყვებით, ლიბიაში დაღუპულთა რიცხვმა 1000-ს მიაღწია. ამ წუთებში ქუჩები ცარიელია, მოსახლეობას გარეთ გამოსვლის ეშინია, რადგან დამსჯელი რაზმები დათარეშობენ. საფრანგეთის პრეზიდენტმა უკვე გამოთქვა აზრი, ლიბიისთვის ეკონომიური, სავაჭრო და ფინანსური სანქციების დაწესების თაობაზე. შეერთებული შტატებიც აკრიტიკებს პოლკოვნიკის მოქმედებას, მაგრამ ზემოქმედების ნაკლებ ბერკეტებს ფლობს, რადგან, ისედაც არ ჰქონდა ფინანსური ურთიერთობა ლიბიასთან. ამასობაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად, ქალაქ თობრუქში, ლიბანის აღმოსავლეთში, ძალაუფლება ამბოხებულმა ჯარისკაცებმა ჩაიგდეს ხელში.

**ათბ-ნიუსი**

## საბერძნეთში შეტაკებებია

საბერძნეთის პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება მოხდა. „ბიბისი“-ის ინფორმაციით, პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აქციები და საყოველთაო გაფიცვა საბერნეთში დღეს დაიწყო. მოსახლეობა ხელისუფლების ანტისკრიზისულ გეგმებს აპროტესტებს. ხელისუფლების მიერ ხარჯების შემცირებით უკმაყოფილო აქციის მონაწილეები, პოლიციას ქვებს და პოლიეთილენის ბოთლებს ესროდნენ. აქციის გამო საბერძნეთში ასამდე სამგზავრო რეისი გადაიდო, დახურულია მაღაზიები და მომსახურების სხვა დაწესებულებები, არ ფუნქციონირებენ სკოლები, ტრანსპორტის მოძრაობა პარალიზებულია.

რაც შეეხება საავადმყოფოებს, შეფერხება ამ სფეროსაც შეეხო. ათენში საავადმყოფოების მხოლოდ ნაწილი მუშაობს.

**ათბ-ნიუსი**

## პინკი ბავშვს ელოდება



როკ-ვარსკვლავ პინკს კარიერაში შესვენება აქვს აღებული. ამის მიზეზი კი მისი ფეხმძიმობა გახლავთ. ამ ინფორმაციამ ყველაზე მეტად, ცხადია, პინკის მეუღლე გაახარა. მოტომრბოლელმა კერი ჰარტმა და მომღერალმა 2006 წელს იქორწინეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს სურდა შვილების ყოლა, პინკის გადატვირთული გრაფიკი ამ ფუფუნების საშუალებას არ იძლეოდა. ახლა კი ვარსკვლავი მიხვდა, რომ ვერავითარი კარიერა ვერ აუნაზღაურებს იმ დიდ ბედნიერებას, რასაც საკუთარ შვილზე მზრუნველობა ანიჭებს ქალს. ამიტომაც ყოველგვარი საქმე გვერდზე გადადო და ახლა მთელ დროს საკუთარი თავის მოვლას უთმობს, რათა ქვეყანას ჯანმრთელი პატარა მოევლინოს. ოჯახის ახალ წევრს ცოლ-ქმარი ზაფხულისთვის ელოდება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პინკს დიასახლისობაც ძალიან მოეწონა. ის სერიოზულად დაინტერესდა კულინარიით და მშვენიერ ნამცხვრებსა და ღვეზელებს აცხობს.

**ათბ-ნიუსი**

## კეიტ მოსი ქვედაკაბის გარეშე დადის



კეიტ მოსმა, რომელიც ლონდონის მოდის კვირეულზე საქმროსთან, ჯეიმი ჰინსთან ერთად გამოცხადდა, საზოგადოება განაცვიფრა. საქმე ისაა, რომ ვარსკვლავს ქვედაკაბა არ ეცვა და მხოლოდ კოლგოტკებში გახლდათ გამოწყობილი, თანაც ამის მიზეზი მოსის ჩვეული მდგომარეობა არ ყოფილა. როგორც ცნობილია, მოდელს მუდმივად სპირტიანი სასმელის სუნი ასდის. ამჯერად კი მოსი აბსოლუტურად ფხიზელი იყო, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია, მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების წინაშე, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, კოლგოტკების ამარა წარმდგარიყო. მოდელს დუნდულებს ძლივს უფარავდა გრძელი შარფი და აშკარად უჩანდა ქვედა საცვალი. პაპარაცებმა, ცხადია, მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და მოსისთვის სურათების გადაღება დააპირეს, რაც ძალიან არ მოეწონა მის საქმროს. ჯეიმსა და ფოტოგრაფებს შორის შეხლა-შემოხლა გაიმართა, მაგრამ უშედეგოდ. მოხერხებულმა პაპარაცებმა ჯეიმი ოსტატურად მოიცილეს და მოსი □ჩააკარტოჩკეს□. ამასობაში პოლიციაც გამოჩნდა და მოჩხუბრები დააშოშმინა. საბოლოოდ მოსი და მისი ბოიფრენდი შინისაკენ გაეშურნენ. მოდი და ამის შემდეგ თქვი, რომ ვარსკვლავის ქმრობა ადვილია!

**ათბ-ნიუსი**

## საუდის არაბეთის მეფე მოსახლეობას 35-მილიარდიან დახმარებას დაჰპირდა

საუდის არაბეთის მეფემ აბდალა მეორემ, რომელიც ქვეყანაში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაბრუნდა, მოსახლეობას 35 მილიარდიანი სოციალური დახმარების გამოყოფას დაპირდა.



„როიტერის“ ცნობით, გეგმა, რომელიც გუშინ გამოცხადდა, მიზნად ისახავს ახალგაზრდების დასაქმებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ამასთან, გეგმა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლასაც ითვალისწინებს.

დამკვირვებლები 87 წლის მონარქის ამ ქმედებას მოსალოდნელი სახალხო გამოსვლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებენ. ნავთობით მდიდარ საუდის არაბეთში ბოლო დრომდე, პოლიტიკური არასტაბილურობის ნიშნები გამოკვეთილი არ ყოფილა.

**ათბ-ნიუსი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 2. დანაშაულის განმეორებით ჩადენა; 3. ძვირფასი სარეწაო თევზი; 5. პირველი ქართული ბალეტი; 7. ზარმაცი, მუქთახორა ადამიანი; 9. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა, იდუმალი რამ; 15. ანტიფაშისტური ფერწერული ტილო „გერნიკას“ ავტორი; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. ბანკეტზე წარმოთქმული მოკლე სადღეგრძელო.

**თარაზულად:** 4. ვერდის ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 6. მიწის სათხრელი მანქანა; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 11. ჭადრაკის ფიგურა; 12. მოხეტიალე მასხარა ძველ პოლონეთში; 14. დროის დიდი პერიოდი; 17. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 19. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 20. მრავალადგილიანი თანამედროვე სამგზავრო თვითმფრინავი; 21. მდინარე კახეთში; 22. დასპირტული ღვინო; 23. სასაუზმე იტალიაში.

*შეადგინა თავიგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ურეკი; 3. ვალენსია; 4. ერითრეა; 5. ფიუზელაჟი; 9. ღრეობა; 12. ლაქტოზა; 14. ვინიცა; 15. ლეგო; 17. ბრუნი; 18. იკაო.

**თარაზულად:** 6. სეზარი; 7. მაშარაბი; 8. ოპტიკა; 10. გრევე; 11. ნაცარქექია; 13. წვეულება; 16. ბაგები; 19. კაბოშონი; 20. საბატერო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თაკვერი; 2. ჯანელიძე; 3. კლიმატი; 5. აბროდაჟი; 7. ათაბაგი; 9. შინპოფერი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ულისე.

**თარაზულად:** 4. საქსაული; 6. კვარტალი; 8. ღვინობისთვე; 10. დუბლინი; 11. ნოტი; 12. აგრეჟე; 14. წყალი; 17. სფერო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. მერკური.

# ტორონტოს პოლიციამ პიცერიაში მილიონი დოლარის მარიხუანა დააკავა




კანადის ქალაქ ტორონტოს პოლიციამ კაფეში, რომელიც მომხმარებლებს პიცას შინ ატანდა, 1 მილიონი დოლარის ღირებულების მარიხუანას პარტია აღმოაჩინა.

„პიცა გიგის“ მფლობელი, 57 წლის შალვატორე კრიმი ნარკოტიკს უშუალოდ კაფეში ყიდიდა.

გამომძიებლებმა ჩხრეკის ორდერი ორშაბათს მიიღეს. მათ შეამჩნიეს, რომ მრავალი მომხმარებელი კაფედან პიცის გარეშე გამოდიოდა.

პოლიციის ანგარიშში ნათქვამია, რომ ჩხრეკის დროს კოკაინი და სხვა ნარკოტიკებიც იპოვეს.

ეს კაფე ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა და 30 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ტორონტოს პოლიციის წარმომადგენელმა ვენდი დრემონდმა ბიბისის კორესპონდენტს განუცხადა, რომ საცხოვრებელ რაიონში მდებარე „პიცა გიგის“ მეზობლებს შორის ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და მისი მფლობელის სახელზე არაერთი საჩივარი იყო დაწერილი.

გ. თ.

# ხათუნა კალმახელიძე პრობაციის ოფიცრების ტრენინგს დაესწრება



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საკითხებზე მიმდინარე ტრენინგს დაესწრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, თბილისის პრობაციის ბიუროს 15 ოფიცერი, სამდღიანი სასწავლო კურსის განმავლობაში გაეცნობა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულების მექანიზმებსა და მისი მოხდის პირობებს, საერთაშორისო სტანდარტებს, აგრეთვე ელექტრონული მონიტორინგის სისტემის სპეციფიკას. ჩატარდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების სავარჯიშოები.

სწავლება ხორციელდება ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ დაფინანსებით და ციხის საერთაშორისო რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერით.

ინტერპრესნიუსი

# რუსთავში ავტოავარიას 8 წლის გოგონა ემსხვერპლა

რუსთავში, რუსთაველის ქუჩის მახლობლად მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. დიდი სიჩქარით მიმავალი „ჯიპი“ „06“ მარკის ავტომობილს შეეჯახა.

ავტოავარიის დროს „06“-ის მარკის ავტომანქანაში ბაბუა ორ შვილიშვილთან ერთად იმყოფებოდა. ავტოავარიის შედეგად 8 წლის თეკლა მიქაბერიძე ადგილზე გარდაიცვალა. 7 წლის ნუცა მიქაბერიძე კი, იაშვილის კლინიკაშია გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, „ჯიპის“ მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

# ორი წლის ბავშვი გრიპის ვირუსით იაშვილის კლინიკაშია მოთავსებული

ორი წლის ბავშვი, გართულებული ვირუსული ინფექციით, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს. არის თუ არა ეს ღორის გრიპის ვირუსი, ჯერ უცნობია. ამას ლაბორატორიული გამოკვლევა დაადგენს. ამ ეტაპზე ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. მას ყველა საჭირო გამოკვლევა უტარდება.

ბავშვი პნევმონიის დიაგნოზით, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თელავის რაიონული საავადმყოფოდან გადმოიყვანა. მას მკურნალობას ოთხი დღის განმავლობაში ადგილობრივ საავადმყოფიში უტარებდნენ.

ავადმყოფის თბილისში გადმოყვანა გართულებული მდგომარეობის გამო გახდა საჭირო.

მედიანიუსი

# ვაზისუბანს წყალმომარაგება შეუწყდება

ვაზისუბნის დასახლებაში, წყალსადენის 600 მმ-იან ქსელზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, დღეს ვაზისუბნის დასახლებას წყალმომარაგება შეუწყდება.

როგორც პრაიმ-ნიუსს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“ აცნობეს, 24 თებერვლის 12:00 საათიდან 25 თებერვლის დილის 08:00 საათამდე წყალმომარაგება შეუწყდება: ვაზისუბნის დასახლების ოთხივე მიკრორაიონს და შანდორ პეტეფის ქუჩას. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას დღეს დილიდან შეუდგება, რისთვისაც მობილიზებული იქნება კომპანიის წყალსადენის სამსახურის ბრიგადები და ტექნიკა.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ითვალისწინებს წყალმომარაგების შეზღუდვით გამოწვეულ დისკომფორტს და ბოდიშს უხდის თავის მომხმარებლებს.

პრაიმ-ნიუსი

# კოსოვოს პრეზიდენტად ბეჯეტ პაკოლი აირჩიეს

კოსოვოს პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტად ალბანელი ბიზნესმენი ბეჯეტ პაკოლი აირჩია, რომელიც პარტიას „ალიანსი ახალი კოსოვოსთვის“ ხელმძღვანელობს და რუსეთთან მყარი საქმიანი კავშირები აქვს. პრეზიდენტის თანამდებობაზე მხოლოდ ერთი კანდიდატურა განიხილებოდა.

მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიებმა საპარლამენტო სესიას, რომლის დროსაც პრეზიდენტი აირჩიეს, ბოიკოტი გამოუცხადეს. ოპოზიცია პაკოლის მოსკოვთან მჭიდრო კავშირისთვის აკრიტიკებს და იმაში ადანაშაულებს, რომ პოლიტიკაში მხოლოდ საკუთარი ბიზნეს-იმპერიის გასამყარებლად წავიდა.

90-იანი წლების ბოლოს, პაკოლის სამშენებლო კომპანია ძაბეტეხ-მა, რომლის შტაბბინაც შვეიცარიაში მდებარეობს, კრემლის მასშტაბური რესტავრაცია განახორციელა. ჩატარებული სამუშაოების ღირებულება 450 მლნ დოლარს შეადგენდა.

დეპუტატებმა იმავე სესიაზე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხაშიმ ტაჩი ხელმეორედ დაამტკიცეს. ტაჩის პარტიამ 2010 წლის დეკემბრის არჩევნებში გაიმარჯვა, თუმცა კოალიციის ჩამოყალიბება ვერ შეძლო.

ინტერპრესნიუსი

# დიმიტრი მედვედევი — რუსეთში რევოლუციას არ დავუშვებთ

რუსეთში რევოლუციას არ დავუშვებთ, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის საგანგებო სხდომაზე.

სხდომის დროს მედვედევმა კომენტარი გააკეთა ლიბიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე. მედვედევის თქმით, არაბულ სამყაროში მიმდინარე რევოლუციებმა, შესაძლოა, ხელისუფლებებში რელიგიური ექსტრემისტები მოიყვანოს.

— შეხედეთ ახლო აღმოსავლეთში რა ხდება. წინ დიდი სირთულეებია მოსალოდნელი. რიგ შემთხვევებში, ლაპარაკია მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოების დეზინტეგრაციაზე, ამ ქვეყნების ნაწილებად დაშლაზე. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლებაში ფანატიკოსები მოვიდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ათწლეულების მანძილზე აქ ცეცხლის კერა იქნება და მომავალშიც ექსტრემიზმი გავრცელდება, აუცილებელია სიმართლეს თვალებში შევხედოთ, — განაცხადა მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მსგავს სცენარს რუსეთისთვის ადრეც ამზადებდნენ.

— ამგვარ სცენარს ისინი ჩვენთვისაც ამზადებდნენ და მით უმეტეს, ახლა, ამის განხორციელებას შეეცდებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სცენარი რუსეთში ვერ განვითარდება, — აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

ინტერპრესნიუსი

# კამერუნში ავტოავარიას 36 ადამიანი ემსხვერპლა

უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, კამერუნის ქალაქ იაუნდედან დუალასკენ მიმავალი ავტობუსი სატვირთო ავტომანქანას დაეჯახა. რომლის დროსაც 36 მგზავრი დაიღუპა. ცოცხლად გადარჩა 1 მგზავრი, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია.

კამერუნის ტრანსპორტის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყანაში ავტოავარიები ხშირად ხდება, რომლის 70 პროცენტი არაკვალიფიციური, ან ნასვამი მძღოლების ბრალია.

ინტერპრესნიუსი

# კონტროლის პალატაში არასამთავრობო სექტორთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა. შეხვედრაზე საჯარო მმართველობისა და საჯარო ფინანსების მართვის საკითხები განიხილეს. არასამთავრობო ორგანიზაციები აქ მიმდინარე რეფორმების შედეგებს, საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის რეფორმირების, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვისა და ეფექტიანობის აუდიტის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაგრძელებისათვის მზადყოფნა გამოთქვეს.

მედიანიუსი

# კობა სუბელიანი შვედეთის ელჩს შეხვდა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი შვედეთის სამეფოს ელჩს საქართველოში დაიან იანსენს და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელს პიტერ კაამანს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სამინისტროში გაიმართა. მინისტრმა სტუმრებს სამინისტროს პრიორიტეტები გააცნო და დევნილთა გრძელვადიან განსახლებაზე ესაუბრა. მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმებიც განიხილეს.

მედიანიუსი

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნელი გელაშვილი-ჭელიძის მესამე ფერიცვალება



მონატრების სამი სევდიანი და ცრემლიანი წელი გავიდა. თითქოს უშენობის გამოცდის ულმობელი წლები გადის; განა, რას შეუძლია გადაასხვაფეროს ჩვენი ცხოვრება შენს ნაკვალევზე. სიცოცხლის სიყვარულში ისე იხარჯებოდი, რომ უმწიკვლოდ განვლილმა გზამ შეგმოსა ლამაზი უკვდავებით. წუთისოფლის ბინადარმა შეძლელი სიყვარულით დაწერილი შენი ღირსეული ბიოგრაფია ასე დაუსრულებელი გაგეხადა. ეს შეძელი შენი მოულოდნელი ფერიცვალების შემდეგაც, უკვე მესამედ და უცვლელად...

შენს ქართულ, დიდ ტრადიციულ ოჯახში ყველა ის წესი დაცულია, რომელსაც ამკვიდრებდი, როგორც ოჯახის დედაბოძი, ღვთისმოშიში დედა, ერთგული მეუღლე, მეგობარი, სანიმუშო მეცნიერი... ასეა ახლაც. ამბავი ნელი გელაშვილზე ამ თოვლიან ზამთარშიც ისეთივე ცხოველი ინტერესით იკითხება, როგორც უკანასკნელი სამი გაზაფხულის მონატრებამდე.

დრო უძლური აღმოჩნდა; დროს შენნაირი ადამიანები ამარცხებენ და თავად მართავენ მას. შენ ისევ ყველგან ხარ, არც არსად წასულხარ — ქალური მომხიბვლელობით, განუმეორებელი შარმით, კდემამოსილებით... შენი ფერადი ფოტოსურათები მფარველ ანგელოზებად გაბნეულა შენი სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში. შენი პორტრეტები წარუშლელი ღიმილით, უშრეტი ენერგიით, სიცოცხლის ძალებით ავსებს შვილებს, შვილიშვილებს... შენს სამუდამო განსასვენებელს ისევ რუდუნებით კავალრობს შენი ძვირფასი ივერი. ცოცხალი ყვავილები და ჩაუქრობელი სანთელი ისევ ამშვენებს შენს მკერდს და ამ ტრადიციას არავინ მოშლის.

სიხარულიც გვაქვს საუწყებელი — შენი შვილიშვილის — პატარა დათა ჭელიძის დაბადებამ ახალი იმედებითა და სიყვარულით აავსო ოჯახი. გრძელდება სიცოცხლე, მრავლდება შთამომავლობა, მყარად დგას ოჯახი, რომლის თითოეული წევრი შენს სათაყვანებელ საქართველოს ღირსებით ემსახურება. ცრემლი მაინც არის, ვერ მოგატყუებთ. დედას ხომ დრო და ასაკი არ აქვს, დედაშვილობის საიდუმლოს უთქმელად ხსნიან შენი საფიცარი შვილები. დედის გაუსაძლისი მონატრების სევდა მუდამ გაისმის მაიკოსა და გოჩას ხმაში...

მეცნიერული საზოგადოების თვალსაჩინო წევრს მრავალი ჩანაფიქრი განსახორციელებელი დაგრჩა. თუმცა, სიცოცხლეს თავისთავად აგრძელებენ შენი უნიკალური შრომები. შენს მოღვაწეობაზე, ტალანტსა და გონიერებაზე სიამაყით საუბრობენ შენი მეგობრები და თანამშრომლები. ყველა, ვინც, თუნდაც შორიდან გიცნობდა, შენთან მეგობრობას იჩემებს. ყველას წარუშლელი მოგონებები ალაპარაკებს ნელი გელაშვილის სიკეთეზე, უანგარობაზე, კდემამოსილებაზე, მიმტევებლობაზე...

ადამიანები თავადაც ქმნიან სხვათა სახელებს. საზოგადოების რჩეულს არასდროს დაგიკარგავს თავმდაბლობისა და უბრალოების სიმდიდრე.

საყოველთაო სიყვარულში აღიარებული დედოფალი! — ასეთი დაგიმახსოვრა ყველამ. ასეთად დაიმახსოვრა შენმა სათაყვანო სვანეთმა საამაყო და გამორჩეული რძალი. ასე იცხოვრე, ასეთი განსაკუთრებული პატივი დამსახურებულად მიიღე.

მესამე წელი... ფიქრითა და სევდით გაჯერებული წლების გაგრძელება... ნელიკოს მადლიან გულზე გადავლილი სამი ფერიცვალება... და ასე იქნება უსასრულოდ, მონატრებიდან მონატრებამდე, ფერიცვალებიდან ფერიცვალებამდე.

*თამილა ჯაფარიძე*

ავთანდილ წერეთელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაუგრძნობს მანანა და გოდერძი ბუკიებს ძმისა და ცოლისძმის

**გია კვირიკაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუშაბათი 24 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** "აირექსის" მედია პროგრამის პრეზენტაცია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"** (12) (მ. პერი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** **01.00** მხ. ფილმი **"ფარული ვნება"** (18)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) (სუბტ.) **02.05** მხ. ფ. **"კომანდო"** (15) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **"სხვა 48 საათი "** (18) (ე. მერფი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"დავის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ყვარყვარე"** **13.40** კონცერტი – სტუმრად კვარტეტთან **15.05** მხ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **16.35** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი მე-3 **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** მიწათმოქმედი **22.25, 23.15** დოკ. ფილმი "წინანდალი" **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 24 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7699 | ევრო — 2,394 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8425 | რუსული რუბლი — 0,0604 |

**ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 2-7, ღამით — -3 -1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 8-12
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -2-9, ღამით — -11 -3







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## ალექსანდრე ამისულაშვილი: „არველაძე, ალბათ, გამიგებს"

**რუსულ პრემიერლიგაში აღზევებული „კრასნოდარის" ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, ალექსანდრე ამისულაშვილია. კრასნოდარელებმა მასში 3 მილიონი ევრო გადაუხადეს თურქულ „ქაისერისპორს".**



ამ ტრანსფერს საქართველოში ბევრი გარჩევა მოჰყვა — ბევრი ამტიცებდა, რომ ჩვენებურმა შუა სეზონში მიატოვა შოთა არველაძე (ქაისერის მწვრთნელი) და დაალალატა. თუმცა, ფაქტია, რომ თავად კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იყო, თავისუფალი აგენტის სტატუსით შეძენილ ამისულაშვილში სარფიანი მოგება ენახათ. ეს პუნქტი, „ქაისერსა" და ფეხბურთელს შორის გაფორმებულ კონტრაქტშიც იდო.

ამისულაშვილმა კი რუსეთში დაბრუნების შემდეგ პირველი ინტერვიუც გასცა.

— ***ალბათ, არ ელოდით რუსეთში ასე მალე დაბრუნებას.***

— რატომაც არა. სიმართლე თუ გაინტერესებთ, ველოდი.

— ***რატომ?***

— როდესაც „ქაისერთან" 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ როგორ გაუჭირდებოდა ჩემს ოჯახში საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. უმთავრესი პრობლემა ენის არცოდნაც იყო. არც იქაური ცხოვრების სტილია მისაღები — 9 საათის შემდეგ ქაისერში ყველაფერი დაკეტილია.

— ***პროფესიული თვალსაზრისით როგორი იყო განვლილი ნახევარი წელი?***

— არც ისე ადვილი. თურქეთში მცველებს, განსაკუთრებით ცენტრალურებს მძიმე თამაშები უწევთ, ვიდრე რუსეთში. იქ ფეხბურთი უფრო შემტევია და აგრესიული. აუტსაიდერი გუნდებიც კი პირველივე შესაძლებლობისთანავე მეტოქის კარისკენ მიიწევენ და მცველების გამუდმებით ყურადღებით თამაში სჭირდებათ.

— ***თუმცა, როგორც ვიცით, ამ დატვირთვებს თავი კარგად გაართვით.***

— მთლიანობაში კარგი გუნდი შეიკრიბა. ხელმძღვანელობა ხუთეულში მოხვედრას გვისახავდა მიზნად, ჩვენ კი მეოთხე ადგილზე ვიყავით პირველწრეშიც ცოტა, სულ 12 გოლი გავუშვით. ამ მაჩვენებლით მხოლოდ „ბურსა" გვჯობდა.

— ***ალბათ, თქვენს თანამემამულესთან, „ქაისერის" მწვრთნელ შოთა არველაძესთან სრული ურთიერთგაგება გქონდათ.***

— ნამდვილად. ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვქონია. ყველა მატჩი თავიდან ბოლომდე ვითამაშე. არ დაგავიწყდეთ, რომ არველაძესთან ერთად საქართველოს ნაკრებშიც მითამაშია. არც მაშინ და არც შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა არ გვქონია.

— ***და მაინც, თქვენ თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო მცველებში შეხვედით.***

— მეც მითხრეს, რომ იქ მოვხვდი. სინამდვილეში კი ჟურნალისტთა შეფასებით საუკეთესო მარცხენა ცენტრალური მცველის ნომინაციაში ვლიდერობდი, მაგრამ ეს გაზეთი თვალითაც არ მინახავს. არც ისე ვაქცევ დიდ ყურადღებას ასეთ ფაქტებს.


**გაგრძელება მე-9 გვერდზე**


## ასტროპროგნოზი 24 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ლომი** — ის საქმე აკეთეთ, რაც გსიამოვნებთ. **ქალწული** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **სასწორი** — გადაიხალისეთ გარდერობი, მოსალოდნელია შეხვედრა. **მორიელი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ვლად არამოვი საქართველოდან წავიდა

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი იუმორისტი და მომღერალი ვლად არამოვი საქართველოდან საცხოვრებლად ამერიკაში წავიდა. მაყურებლისთვის გამორჩეულად საყვარელი „იუმორინას" ცნობილი სახე აშშ-ში ხანგრძლივმა მონატრებამ წაიყვანა.

სხვა ქართველების მსგავსად, მისი სამშობლოდან წასვლა შორეულ ამერიკაში სამუშაოს ძებნა არ გამხდარა. ვლადის ოჯახი — საყვარელი მეუღლე და შვილი ამერიკაში ცხოვრობენ, ამიტომ იუმორისტს მათ გარეშე საქართველოში ცხოვრება ძალიან უჭირს და საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველო მინიმუმ ერთი წლით დაეტოვებინა.

როგორც საქართველოდან წასვლისას ვლად არამოვმა ჟურნალისტებს განგვიცხადა, მისთვის საკმაოდ რთულია საყვარელი ადამიანებისგან ამ სიშორეზე ყოფნა, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ცოლთან ილონასთან და სამი წლის ვაჟიშვილ ნიკოლასთან ჩავიდეს, რათა ოჯახური იდილიით დატკბეს.

ვლად არამოვი არც იმას გამორიცხავს, რომ საკუთარი ნიჭი შორეულ ამერიკაშიც გამოიყენოს და იქ ცხოვრების პერიოდში კონცერტები აქტიურად ჩაატაროს. მიუხედავად ამისა, „იუმორინას" ცნობილმა სახემ გამგზავრებამდე პირობა დადო, რომ საქართველოში დაგეგმილ „იუმორინას" კონცერტებს არ გამოაკლდება და როგორც კი ამ საკონცერტო სერიების სულისჩამდგმელი ჯემალ ბაღაშვილი გამოიძახებს, უმალ საქართველოში გაჩნდება და თავის ერთგულ მაყურებელს ახალი იუმორისტული თუ მუსიკალური ნომრებით ისევ გაახარებს.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 2. მძაფრი სუნის მქონე ქიმიური ელემენტი, აირი; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთში; 9. ფულის ერთეული უკრაინაში; 12. რამდენიმე სართულად გამართული თაროები; 14. ქართველი ფსიქოლოგი; 15. მდინარე პარიზში; 17. რაიმეს ზღვარი, ზღუდე; 18. სხეულის ფიზიკური მდგომარეობა.

**თარაზულად:** 6. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შთამომავალი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი ახალციხის რაიონში; 10. ფრანგი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. ხის ორი ფირფიტისაგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა ესპანური ცეკვების აკომპანირებისთვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონების ან დამნაშავის ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. სპარსეთის დედაქალაქი მე-16-18 საუკუნეში; 20. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## იუმორი



— არაყი მხოლოდ თავიდან არის ძვირი, შემდეგ მის ფასს მნიშვნელობა არ აქვს...

* * *

— თუკი ღობეებსა და კედლებზე წარწერა „სასქესო ასო" გამოჩნდა, კრიზისს ინტელიგენციამდეც მიუღწევია...

* * *

ტიპმა მალაზიაში ერთი ფუთი მარილი იყიდა. გამოვიდა და ამბობს:

— რაღაც, ძალიან ცოტაა, ალბათ, დამაკლეს არამზადებმა!

ერთი კილომეტრი გაიარა.

— არა, რას ერჩი, მგონი, მართლა ერთი ფუთი მომცეს...

კიდევ ერთი კილომეტრის შემდეგ:

— ხომ ვუთხარი, ერთი ფუთი მინდამეთქი, იმათ კი რამდენი ჩაუყრიათ!..

* * *

— გუშინ ჩემთან ძმაკაცი მოვიდა და ხუთ წუთში სერვერი გამიტეხა.

— რა, ჰაკერია?

— ჰაკერი კი არა, იდიოტია, მაგიდიდან გადმოაგდო...

* * *

გინეკოლოგი ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:

— აბა, ერთი მაჩვენე, უჩემოდ რას აკეთებდი...

გ. თ.

## რამდენად იმპულსური ხართ — ტესტი



1. მალე გღლით რუტინა?
2. თუ მიგაჩნიათ, რომ დაგეგმვა სიცოცხლეს სიამოვნებას აკარგვინებს?
3. სწრაფად იღებთ გადაწყვეტილებას?
4. თუ ყოფილა, რომ რაღაცას აკეთებთ, შემდეგ კი ნანობთ ამას?
5. თუ გიყიდიათ ტანისამოსი წუთიერი იმპულსის ზეგავლენით?
6. თუ გიყიდიათ რამე პროდუქტი წუთიერი იმპულსის ზეგავლენით?
7. თუ გიყიდიათ ტანისამოსი, რომელიც მერე აღარ ჩაგიცვამთ?
8. თუ გიყიდიათ წიგნი, რომელიც შემდეგ არ წაგიკითხავთ?
9. თუ მიგიღიათ ოდესმე ისეთი მიწვევა, რის შემდეგაც გინანიათ?
10. თუ შეგქმნიათ პრობლემები იმის გამო, რომ ჯერ მოქმედებთ, შემდეგ კი ფიქრობთ?
11. თუ ყოფილა, რომ უკანასკნელ მომენტში გადაგიწყვეტიათ, სად წახვიდოდით დასასვენებლად?
12. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე ბევრ დროს კარგავთ?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-4 ქულა:** საკმაოდ კეთილგონიერი ხართ იმისთვის, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღოთ. ხანდახან რაღაც გინდათ, იმპულსურად ჩაიდინოთ, მაგრამ ყოველთვის საღი აზრი იმარჯვებს.

**5-9 ქულა:** იმპულსებს ხანდახან ვერ უძლებთ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, აკონტროლებთ სიტუაციას.

**10-12 ქულა:** მიეკუთვნებით იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებსაც სიღრმის შემოწმებამდე წყალში თავით გადახტომა სჩვევიათ. დაუფიქრებლად მოქმედება მრავალ პრობლემას გიქმნით, თუმცა მოსაწყენად ნამდვილად არ გცალიათ.

გ. თ.